



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

საჯარო სამართლის კათედრა
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემა
და მათი შედარებითი ანალიზი**

სტუდენტი:

თორნიკე გაჩეჩილაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი:

გივი ლობჯანიძე

თბილისი

შინაარსი

შესავალი

- 1.ლიტერატურის მიმოხილვა.....
- 2.შედგენები და მათი განსჯა.....

თავი 1. ალდგენითი მართლმსაჯულების არსი და ფორმები

- § 1.ალდგენითი მართლმსაჯულების ისტორიული ექსკურსი
- § 2.ალდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა
- § 3.ტრადიციული და ალდგენითი მართლმსაჯულების ურთიერთგამიჯვნა
- § 4.შეჯამება

თავი 2. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები

- § 1.არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში
- § 2.განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანი და მნიშვნელობა
- § 3.განრიდების და მედიაციის პრინციპების არსი
 - 3.1. ნებაყოფლობითობის პრინციპი
 - 3.2.პროპორციულობის პრინციპი
 - 3.3. კონფიდენციალობის პრინციპი
- § 4. შეჯამება

თავი 3. დაზარალებული მედიაციის განრიდების და მედიაციის პროცესში

- § 1.დაზარალებულის როლი განრიდების და მედიაციის პროცესში

§ 2. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა

§ 3. დაზარალებულთან დაკავშირებით განვითარებადი ქვეყნების მიდგომების ანალიზი განრიდების და მედიაციის პროცესში

§ 4. შეჯამება

თავი 4. ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკის ანალიზი

§ 1. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკული ანალიზის მნიშვნელობა

§ 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილებათა ანალიზი

§ 3. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

3.1. ქართული საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკის ანალიზი

§ 4. შეჯამება

3. დასკვნა

არასრულწლოვანი მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე ყოველთვის იყო, არის და იქნება, როგორც საკანონმდებლო, ისე სამოქალაქო და სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე ყოველი დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს არსებითი ყურადღება გაამახვილოს არასრულწლოვან დამნაშავესთან მოპყრობის სტილზე და მეთოდებზე.

შესაბამისად სისხლის სამართლის პროცესში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსებობა იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენადაც ყოველივე ეს პირდაპირმიმართებაშია სისხლის სამართლის მართებულ პოლიტიკასთან. მაგალითისთვის ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავეს დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვისთვის იცვლება რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ნიშნებით.

აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში რესტიტუციას ზოგადად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მნიშვნელობა ენიჭება, რაც ერთის მხრივ დანაშაულის ჩამდენისა და დანაშაულის მსხვერპლს შორის დარღვეული სოციალური ურთიერთობების აღდგენას და მეორეს მხრივ დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. სწორედ ამით განსხვავდება იგი ტრადიციული მართლმსაჯულებისგან, რომელიც ეფუძნება დამნაშავეს დასჯის სახელმწიფო მონოპოლიის პრინციპს. აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების აუცილებლობაზე მსჯელობენ ასევე ევროპის საბჭო და გაერო, რომლებმაც მიიღეს სისხლის სამართლის სფეროში მედიაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეგულაციები და ამით აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით შექმნეს საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნულისგან განსხვავებით ტრადიციული მართლმსაჯულება ეფუძნება დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯის სახელმწიფო მონოპოლიის პრინციპს მაშინ როცა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში დანაშაულებრივ ქმედებას და მის ჩამდენი პირს

სახელმწიფოს განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყობა ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

ამავე დროს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ყოველთვის დგება მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, როდესაც სახეზე ორი დაპირისპირებული მხარის ინტერესის კონფლიქტია. ერთი მხრივ, დაზარალებული, მეორე მხრივ დანაშაულის ჩამდენი. ეს არის დაპირისპირება სოციუმის ორ დაპირისპირებულ სუბიექტს შორის, რომელთაგან ერთს დანაშაულმა ზიანი მიაყენა, ზოგჯერ ეს ზიანი მძიმე დაღს ასვამს პიროვნების ცხოვრებას, რაც დღის წესრიგში ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებლობას გარდაუვლად წარმოშობს. მაგრამ იმავდროულად, საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გვავალდებულებს ზრუნვას დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებებზე, მომავალზე, სამომავლოდ მის ნორმალურ პიროვნებად ტრანსფორმირებაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან მიმართებაში თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. შეიძლება ითქვას, რომ იკლო სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებისა და განხორციელების მაჩვენებელმა, ვინაიდან კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალიზაციის, სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენების რაც შეიძლება შეზღუდვის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს უკვე დრომოჭმულ, მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, არაადამიანურ სასჯელებზე.

ფაქტია რომ ალტერნატიული მექანიზმების სისხლის სამართლის პროცესს სძენს ჰუმანურ ხასიათს, რაც მისაღებია დემოკრატიული სახელმწიფოს გამონვევებისთვის.

აუცილებელია თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა-არსებობისთვის არსებითი ყურადღება დაეთმოს არასრულწლოვანს, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი დანაშაული რთული ფენომენია და მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ

მიდგომას, სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიან ძალისხმევას.

ქართულმა ხელისუფლებამ სამოქალაქო და სამეცნიერო საზოგადოებებთან კონსულტაციების შედეგად არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის დაგეგმარებისა და ჰუმანური ხასიათის შექმნის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რადგან პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ამოქმედდა სრულად 2016 წლის 1 იანვარს.

ხსენებული კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის, ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

აქვე განვმარტავთ, რომ ქართულ სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა არასრულწლოვანთა მიმართ ტარდებოდა მაქსიმალურად მკაცრი ზომები და მის მიმართ იწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა მაგ: რამდენიმე ხის ფიცრის ქურდობის, 3-4 კილო ფერადი ლითონის და სხვადასხვა მცირე ღირებულების ნივთების ქურდობის ფაქტებზე. ბუნებრივია, რომ ყველივე ეს ხორციელდებოდა სისხლის სამართლის არასწორი პოლიტიკის გატარების შედეგად, რაც ხელს უწყობდა არასრულწლოვანთა კრიმინალის ზრდას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომში მითითებული ლიტერატურა გამოყენებულია რამდენიმე მიმართულებით:

I - მიმართულება: არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება და აღდგენით მართლსაჯულებასთან დაკავშირებული პრობლემები. აქ წარმოდგენილია ლიტერატურა, სადაც ასახულია აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვანი მხარეები აგრეთვე აღნიშნული თემატიკის ისტორიული მხარე და პრობლემატიკა. განხილულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაშტაბები საქართველოსა და საზღვარგარეთ. სხვადასხვა ქვეყნებში იგი არაერთგვაროვნად, სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. აღნიშნული თემატიკა მკაფიოდ განხილულია მ. შალიკაშვილს ნაშრომში „ძალადობის კრიმინოლოგია და აგრეთვე ბოხაშვილი, ი. ბენიძე, მ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივ ჟურნალში“

II - ნაშრომში აგრეთვე მითითებულია გამომწვევი მიზეზები. გამოყენებული ლიტერატურით დასტურდება, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის დამოუკიდებელი მოვლენა და განპირობებულია გარკვეული გარემოებების არსებობით. ასევე ცალკეა ჩამოყალიბებული საქართველოში არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის სპეციფიკა პრობლემატიკა და მათი მიზეზები. აღნიშნული გარემოებების განხილვაში ჩვენ დაგვეხმარება გ. თუმანიშვილი დაზარალებული თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში „სამართლის ჟურნალი“ (თსუ), აგრეთვე

III - მიმართულება: განხილულია აღნიშნული დანაშაულის აქტუალობა, საზოგადოებრივი ხასიათით, რადგან უშუალოდ ეხება საზოგადოების ყველა ფენისა და ჯგუფის ინტერესს რომელ საკითხებზემე გამოყენებული იქნება ჰამილტონი, ე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის

სახელმძღვანელო მითითებები, ზეჰრი, ჰ; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა და სხვა დამატებითი ლიტერატურა.

IV - მიმართულება: კანონთან მყოფი არასრულწლოვანის კონტროლი. ბოლო წლებში საქართველოში და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილმა დანაშაულმა საგრძნობლად იმატა. ძალიან ხშირია მისი გამოვლენა სხვადასხვა სახით: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ამიტომ შემუშავებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციისათვის გარკვეული რეკომენდაციები რომლის მსჯელობასა და ანალიზში ჩვენ დაგვეხმარება მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ე. სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. (რედ) შალიკაშვილი, მ. არასრულწლოვანთა საჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძუმანიშვილი, გ. აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში. სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში. სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, ტურავა მ.(რედ) სტატიათა კრებული თბილისი ულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები. სტატიათა კრებული თბილისი, ტრეესელი,მ.ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი და სხვა მნიშვნელოვანი ლიტერატული ნაშრომი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

თავი 1. აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და ფორმები

§ 1.აღდგენითი მართლმსაჯულების მიმოხილვა ისტორიული თვალსაზრისით

„დანაშაული ნორმალური მოვლენაა და ვერც ერთი საზოგადოება მას საბოლოოდ ვერ მოიშორებს თავიდან.“¹ შესაბამისად ყოველი ქვეყანა ინდივიდუალურად ცდილობს ამ უკანასკნელთან გამკლავების სამართლებრივი გზები მოიძიოს. იგივე შეიძლება ითქვას

¹ Clinard, 2014, 13 (Clinard, M.B Sociology of Deviant Behavior,2014,13)

სახელმწიფო ოფიციალურ სისტემებზე: „განვითარებადი სახელმწიფოების მიერ შექმნილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემები დაცვასა და რეპრესიას შორის ლავირებს. ზოგმა სახელმწიფომ შექმნა სისტემა, რომელიც ეფუძნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დაცვას და მისი სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობას, რომელსაც კეთილდღეობის მოდელი ეწოდება. სხვა სახელმწიფოებში კი მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, სადაც წამყვანი ადგილი ამ უკანასკნელთა დასჯას უკავია. ამ ორი კონცეფციის გამოყენებით შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მესამე მოდელი, რომელიც აერთიანებს ორივეს ნიშნებს და რომელსაც აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი ეწოდება.”¹ ხსენებული საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვანაირად არის განმარტებული. „აღდგენითი მართლმსაჯულება სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებების მნიშვნელოვანი მიმართულებაა. იგი ცდილობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამკუთხედის სამივე ელემენტის დამნაშავის, მსხვერპლისა და საზოგადოების ინტეგრირებას. ასეთია აღდგენითი მართლმსაჯულების არსი, რომლის განვითარების ისტორიაც ძალიან საინტერესოა.”²

საინტერესოა ასევე აღდგენითი მართლმსაჯულების წარმოშობის ისტორია, რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული: „აღდგენითი მართლმსაჯულება მსოფლიოში მფარველობითი ე. წ. „ქოლგა“ კონცეფციისა და საზოგადოებრივი მოძრაობის სახით შემოიჭრა. ის მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს დამკვიდრებას. თუმცა, აღდგენითმა მართლმსაჯულებამ რეალურად ფუნქციონირება იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე ეს ტერმინი გაჩნდებოდა. კანადასა და დასავლეთ ამერიკაში დაზარალებულსა და ბრალდებულზე გათვლილი ცალკეული პროგრამები ჯერ კიდევ, მაშინ იწყებს ამოქმედებას, როდესაც ტერმინი „აღდგენითი მართლმსაჯულება“ საერთოდ არ იყო ცნობილი. აღნიშნული ტერმინი მოგვიანებით, ცალკეულ პუბლიკაციებში ჩნდება. ერთ-ერთი პროგრამა,

¹ შაპოვიჩი, დოევი, ცერმატენი, 2012, გვ. 347(• შაპოვიჩი;ნ;დოევი,ი;ცერმატენი, უ; ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში 2012)

² <http://unicef.ge/uploads> გამოხმობილია 10.02.2017(<http://unicef.ge/>)

რომელიც კანადაში დაინერგა, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტი, ბრალდებულისა და დაზარალებულის შეხვედრები იყო.”¹

„აღდგენითი მართლმსაჯულების თანამედროვე დარგი წარმოიშვა 1970-იან წლებში ჩატარებული საქმის კვლევების შედეგად თემებში, სადაც მენონიტი მოსახლეობა მნიშვნელოვანი პროპორციით იყო წარმოდგენილი. იმის მცდელობაში, რომ სისხლის სამართლის მკაცრი სინამდვილისთვის როგორც საკუთარი რწმენა, ისე სამშვიდობო პერსპექტივა მიესადაგებინათ, მენონიტები და სხვა რელიგიური ჯგუფები (ონტარიოში, კანადასა და მოგვიანებით ინდიანას შტატში, აშშ) ცდიდნენ დაზარალებულისა და დამნაშავეს შეხვედრის მეთოდებს, რის შედეგადაც ამ თემებში ჩამოყალიბდა პროგრამები, რომლებიც შემდგომ სანიმუშო გახდა მსოფლიო მასშტაბით. სწორედ ამ მცდელობების შედეგად ჩამოყალიბდა აღდგენითი მართლმსაჯულების თეორია. გარდა ამისა, ამ მოძრაობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ადრეულ მოძრაობებს და სხვადასხვა კულტურულ თუ რელიგიურ ტრადიციებს, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ ამერიკისა და ახალი ზელანდიის მკვიდრ ხალხებს.

აღდგენითი მართლმსაჯულების საწყისები ბევრად უფრო ფართო და შორეული წარსულიდან იღებს დასაბამს, ვიდრე 1970-იან წლებში მენონიტთა საზოგადოებებში წამოწყებული ინიციატივები. რა თქმა უნდა, ის კაცობრიობის ისტორიის ხნისაა.”² რაც შეეხება უშუალოდ აღდგენითი მართლმსაჯულების პირველ ცნობილ შემთხვევას კანადაში 1974 წელს დაფიქსირდა: „პრობაციის ოფიცერმა და პატიმრების მხარდამჭერმა თანამშრომელმა

¹Sobie, 1981,673(Sobie M., The Juvenile Offender Act: Effectiveness and Impact on the New York Juvenile Justice System, 1981.)

² ზეჰრი, 2013, გვ. 32(ზეჰრი, ჰ; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

მოსამართლესთან დააყენეს შუამდგომლობა ვანდალიზმის ჩამდენი ორი ახალგაზრდა შეეხვედრებინათ ვანდალიზმის მსხვერპლთათვის, რათა მათ უკეთ გაეცნობიერებინათ ჩადენილი და დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურებაზე თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.”¹ პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, ამ პროგრამაში ჩაერთო დაზარალებულისა და ბრალდებულის ოჯახის წევრები და მათი ახლო მეგობრებიც. მოგვიანებით, ციხეებში პატიმართა რაოდენობის ზრდის პარალელურად, პოპულარული გახდა ე. წ. შუალედური სასჯელების გამოყენება, რომელიც არ უკავშირდებოდა თავისუფლების აღკვეთას. უშუალოდ ბრალდებულისა და დაზარალებულის მედიაცია კი, უკვე 80-იანი წლებიდან შემოდის დიდ ბრიტანეთში, სკანდინავიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. მაგალითად, 1989 წლიდან ახალი ზელანდია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას მთლიანად აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებზე აფუძნებს მას.²

მაგალითისთვის: იურიდიულ ლიტერატურაში ასევე განმარტებულია, რომ „ქალაქ ჩიკაგოში (ილინოისის შტატში), 1899 წელს, დაარსდა პირველი საბავშვო სასამართლო. ამ სახის სასამართლოს შექმნის ერთ-ერთი მიზეზი გახდა არასრულწლოვანთა დანაშაულის არნახული ზრდა, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩიკაგოს სასამართლოს წინ უსწრებდა სხვადასხვა შტატში არასრულწლოვანთა მიმართ მიღებული სამართლებრივი აქტები, როგორც იყო 1824 წელს ქალაქ ნიუიორკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული დებულება

¹ ხერხეულიძე, 2012, გვ. 289(• ხერხეულიძე, ი. პრობაციის ინსტიტუტი არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტუმენტი, მ. ლეკვეიშვილი - 85. საიუბილეო სტატიათა კრებული თბილისი 2014.)

² ჰამილტონი, 2011, გვ. 27 (ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახებ.”¹ იმავე პერიოდში არსებობდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეფორმის საზოგადოებაც.

1831 წელს ილინოისის შტატში მიღებული კანონი, რომლითაც განისაზღვრა, რომ არასრულწლოვნის სასჯელი განსხვავებული უნდა ყოფილიყო სრულწლოვანი დამნაშავეის სასჯელისაგან, კანონი რომელიც ეხებოდა მიტოვებულ, უპატრონო, დამნაშავე ბავშვებსა და მათ მეთვალყურეობას. „ბავშვობა“ გახდა განვითარების სტადია, როცა ადამიანი ერწყმის სოციალურ გარემოს, არასრულწლოვანის დასჯა ჩაანაცვლა აღზრდა-გამოსწორების იდეამ. არასრულწლოვანმა შეიძინა საპროცესო სტატუსი. გარდა ამისა: „1912 წლისათვის, აშშ-ს 22 შტატში ფუნქციონირებდა არასრულწლოვანთა სასამართლოები, 1925 წლის მდგომარეობით 46 შტატში, ხოლო 1945 წლისათვის მთლიანად ქვეყანაში. ჩიკაგოს სასამართლოს მაგალითი სწრაფად გავრცელდა ამერიკაში, ევროპაში, რუსეთში და მის ანალოგზე შეიქმნა არასრულწლოვანთა სასამართლოები.”

ამასთანავე, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „რევოლუციამდელ რუსეთში არასრულწლოვანთა საქმეების პირველი სასამართლო შეიქმნა 1910 წლის 22 იანვარს სანკტპეტერბურგში ოქტომბრის რევოლუციამდე ასეთი სასამართლოები ფუნქციონირებდა რუსეთის სხვა ქალაქებშიც, მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, ოდესაში და რიგაში. რუსი პროცესუალისტი, პროფესორი პეტრე ლიუბლინსკი წერდა, ნაკლებად შეიძლება მოიძებნოს უფრო მოდური თემა ევროპულ იურიდიულ და პედაგოგიურ ლიტერატურაში, ვიდრე საკითხი არასრულწლოვანთა ამერიკულ სასამართლოებზე, რომელიც წინა პლანზე წამოიწია მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამ მოძრაობის იდეებით სავსეა ყველა ევროპული ქვეყნის იურისტთა ნაშრომები. თითქმის ყველა ქვეყანაში ტარდება ამ ტიპის სასამართლოები, რომელშიც აღსანიშნავია ახალი ფორმები და იდეები.”² ამავე დროს „საფრანგეთში პირველი არასრულწლოვანთა სასამართლო არასრულწლოვანთა საქმეებზე შეიქმნა 1914 წელს.

¹ Sobie M.1981.677(Sobie M., The Juvenile Offender Act: Effectiveness and Impact on the New York Juvenile Justice System, 1981.)

² Люблинский, 1911, 3.(Люблинский П. И., Суды для несовершеннолетних в Америке как воспитательные и

სასჯელის ალტერნატივად მიღებული იქნა დაკვირვება და კონტროლი არასრულწლოვნის მიმართ. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს შეიქმნა სპეციალიზირებული სასამართლო, რომელსაც არეგულირებს ამავე წლის 2 თებერვალს მიღებული 45-174 კანონი არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახებ.

საფრანგეთის იუვენალური სისტემის ძირითადი მახასიათებლებია: აღმზრდელობითი ღონისძიებების უპირატესობა, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნებისა და ფსიქოლოგიის ღრმა შესწავლა, იმ მოსამართლეთა სპეციალიზაცია, რომელიც იხილავს არასრულწლოვანთა საქმეებს. მნიშვნელოვანია სოციალური მოკვლევა, რომელიც მოიცავს არასრულწლოვნის ოჯახური გარემოს, სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას, რათა მიეცეს რეკომენდაცია არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ მოსამართლეს. მოკვლევას სპეციალურმა თანამშრომელმა, თავის მხრივ, შეძლია დახმარებით მიმართოს ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებსა და განათლების მუშაკებს. მოზარდის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გაცნობის შემდეგ, მოსამართლე წყვეტს გადასცეს თუ არა საქმე ბავშვთა ტრიბუნალს და საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შემთხვევაში ბავშვთა ტრიბუნალში მონაწილეობას თავად იღებს.”¹ გარდა ამისა „აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა ფორმით გათვალისწინება რიგ ქვეყნებში დაინერგა, მათ შორის ახალ ზელანდიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ტაილანდში, აღდგენითი მართლმსაჯულება არის პროცესი, რომელშიც დაზარალებული და დამნაშავე, საჭიროების შემთხვევაში კი ნებისმიერი სხვა პირი ან საზოგადოების წევრი, რომელმაც ზეგავლენა იქონია დანაშაულმა, ერთად აქტიურად მონაწილეობენ დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი საკითხების მოგვარებაში, ჩვეულებრივ, ფასილიტატორის დახმარებით.² ამ მიდგომის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის გამოყენება. „ყველაზე გავრცელებულია მსხვერპლისა და დამნაშავის შერიგება, საზოგადოებისა და ოჯახის

социальные центры, Москва, 1911.)

¹ ნოზაძე, 2017, გვ.106(• ნოზაძე, ლ. იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2017)

² ჰამილტონი, 2010, გვ.14(ჰამილტონი,ქ;არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

ჯგუფის კონფერენცია, სამშვიდობო წრეები და მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან აღდგენა.

აღსანიშნავია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების გამოყენება სამხრეთ აფრიკაში კონფლიქტის დასრულების შემდეგ, აპარტეიდის დანაშაულთან დაკავშირებით აქტიურად ხდებოდა. სპეციალურად შექმნილმა სიმართლისა და შერიგების კომისიამ ძალადობრივი დანაშაულის დაახლოებით 10 000 საქმე მოისმინა, სადაც დანაშაულის ჩამდენი პირები აღიარებდნენ დანაშაულს და საჯაროდ იხდიდნენ ბოდიშს.¹ „აღდგენითი მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით დაწყებული 1970-იანი წლებიდან, მრავალი პროგრამა და მიდგომა შემუშავდა ათასობით საზოგადოებაში და მრავალ ქვეყანაში. ხშირად ეს არის ალტერნატიული შეთავაზება არსებული სამართლის სისტემის ფარგლებში ან მის პარალელურად. ახალმა ზელანდიამ კი, დაწყებული 1989 წლიდან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მთლიანად აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპზე ააგო², „თავდაპირველად, აღდგენითი მართლმსაჯულება იყო მცდელობა ქურდობასა და საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულებთან გასამკლავებლად, რომლებიც (ხშირად არასწორად) მიჩნეულია დანაშაულის შედარებით მსუბუქ ფორმებად. ამჟამად კი, ზოგიერთ საზოგადოებაში, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომები გამოიყენება ყველაზე მძიმე დანაშაულებრივი ძალადობის მიმართ, როგორცაა: გარდაცვალება ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის მიზეზით, თავდასხმა ფიზიკური ძალადობა, გაუპატიურება, მკვლელობაც კი. სამხრეთ აფრიკის სიმართლისა და შერიგების კომისიის გამოცდილების გაზიარებით არის მცდელობა, აღდგენითი მართლმსაჯულების მეთოდი გავრცელდეს და მოერგოს მასობრივი

¹ ზეჰრი, 2013, გვ. 38(ზეჰრი, 3; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

² გვენეტაძე, კვაჭაძე, ნიკლაური-ლამიხი, გაბუნია, 2012, გვ. 84(

ძალადობის სიტუაციებს.”¹ აღსანიშნავია, რომ 1987 წლის 17 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროსაბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს მიმართა შესაბამისი რეკომენდაციით, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში “დისკრეციული სასამართლო დევნის” რაც შეიძლება ფართოდ დანერგვას, თუ ამ სახელმწიფოებში არსებული ისტორიული გარემოებები ან კონსტიტუცია ამის საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2003 წლის 24 სექტემბერს წევრი სახელმწიფოების მიმართ მიიღო რეკომენდაცია არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან მიმართებაში და ახალი მეთოდების გამოყენებასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დანიშნულებაზე. რეკომენდაციის მიღების მიზანი იყო ის, რომ შესაძლოა მხოლოდ ტრადიციული სისხლის სამართლის სისტემები აღარ იძლეოდეს არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში ადექვატურ შედეგებს.”² დაბოლოს სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის მიმართულებიდან გამომდინარე, როგორც საკანონმდებლო და სამეცნიერო, ისე სამოქალაქო საზოგადოება მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრულს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებითი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

§ 2. აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულობა ეს ის საერთაშორისო ფენომენია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ზრუნვის საგანია. არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხს ყველაზე მეტი ყურადღება დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ექცევა. თუმცა როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არასრულწლოვანთა

¹ კიხლინგი, 2011, გვ. 23* გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე, მ; წიკლაური-ლამიხი, ქ; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012)

² www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library გამოხმობილია 24.11.2015(<http://www.nplg.gov.ge/>)

მართლმსაჯულების სისტემების შესწავლა გვიჩვენებს რომ ამ პრობლემას მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაეცა.”¹ მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს აქვს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საკუთარი სისტემა, თუმცა კანონები ფორმით განსხვავდება ერთმანეთისაგან. რიგ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს, ჩვეულებრივ აქვთ სისხლის სამართლის კოდექსი ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ზოგ სახელმწიფოში კი, კერძოდ, საერთო სამართლის ქვეყნებში, არსებობს მთელი რიგი ცალკეული სტატუტების (აქტების ან კანონების) გამოყენების ტენდენცია. ორივე სისტემაში აღნიშნული კოდექსების და სტატუტების საფუძველზე შექმნილია დიდი რაოდენობით კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ თავისებურ ნესებსაც შეიცავს.”² იგივე შეიძლება ითქვას განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულებას არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელს თითოეული სახელმწიფო ინდივიდუალურად უდგება. მიუხედავად ამისა აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი არსი და ძირითადი იდეა მაინც ყველა ქვეყნისთვის ერთმანეთის მსგავსია. „პროფ:მეფარიშვილი აღნიშნავს, რომ „აღდგენითი მართლმსაჯულება ჩვენი დროისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა. მრავალი სხვა ინიციატივის მსგავსად, რომელთა მიზანია ცვლილების შეტანა მართლმსაჯულებაში. აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომები და მეთოდები აგრეთვე ვრცელდება სისხლის სამართლის სისტემის მიღმა სკოლებში, სამუშაო ადგილებსა და რელიგიურ ორგანიზაციებში. როგორც კონფლიქტის მოგვარებისა და გარდაქმნის საშუალებას, ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს აღდგენითი მეთოდის ისეთი ფორმის გამოყენებას, როგორიცაა „წრეები“ (მეთოდი, რომელიც შემუშავდა კანადის მკვიდრი ერების თემებში).”³ გარდა წრეებისა, ასევე იყენებენ

¹ ხერხეულიძე, 2012, გვ. 287 (ხერხეულიძე, ი. პრობაციის ინსტიტუტი არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, მ. ლეკვიშვილი - 85. საიუბილეო სტატიათა კრებული თბილისი 2014.

² ჰამილტონი, 2010, გვ.11(ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

³ მეფარიშვილი, 2011, გვ.3(მეფარიშვილი, გ. ჩხეიძე, ი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2011)

„კონფერენციების“ მეთოდს (დაზარალებულისა და მიმოხილვა დამნაშავეს გაადვილებული შეხვედრა, რომელიც მომდინარეობს ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ტრადიციებიდან), როგორც საზოგადოების ჩამოყალიბებისა და გამოჯანსაღების (განკურნების) საშუალებას. ქეი ფრანსისი, აღდგენითი მართლმსაჯულების ცნობილი მხარდამჭერი, „წრეების“ მეთოდს უწოდებს მონაწილეობითი დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც მეტია, ვიდრე მხოლოდ უმრავლესობის მმართველობა აღდგენითი მართლმსაჯულების დარგის მიხედვით „წრეების“ მეთოდის ამომწურავი განმარტებისთვის). აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებებში, სადაც დასავლურმა სამართლებრივმა სისტემამ ჩაანაცვლა ან შეავიწროვა ტრადიციული სამართალი და კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესები, აღდგენითი მართლმსაჯულება იძლევა საშუალებას, მოხდეს ამ ტრადიციების ხელახლა გადახედვა და აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „აღდგენითი მართლმსაჯულება“ გულისხმობს მრავალ პროგრამასა და პრაქტიკას, მისი ძირითადი არსია დადგენილი პრინციპები, ფილოსოფია და გზამკვლევი კითხვების ალტერნატიული კომპლექტი. საბოლოოდ, აღდგენითი მართლმსაჯულება ქმნის ალტერნატიულ სტრუქტურას დანაშაულებრივ ქმედებაზე ფიქრისას.”

¹ მიუხედავად აღნიშნულისა მაინც ჩნდება კითხვა თუ როგორ უნდა განვმარტოთ აღდგენითი მართლმსაჯულება? იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ზოგადი შეთანხმება აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითად საფუძვლებზე, მათ, ვინც ამ სფეროში მუშაობს, ვერ გამოძებნეს კონსენსუსი, რომ შეთანხმდნენ მის კონკრეტულ მნიშვნელობაზე. რესტორაციული სამართალი ანუ (აღდგენითი მართლმსაჯულება), როგორც ამას პროფ:შალიკაშვილი განმარტავს: „გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი პასუხისმგებლობას იღებს თავის არასამართლებრივ საქციელზე. ოჯახი, საზოგადოება და თავად დამნაშავე ერთად არიან ჩართული ამ პროცესში. არასრულწლოვანს თავად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა შესაფერისი „დასჯითი ზომები“- ს შერჩევაში. ასეთი

¹ ზეპრი, 2010, გვ.35(ზეპრი, 3; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

მართლმსაჯულება არ უკავშირდება ფორმალურ სამართლებრივ სისტემას, შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთაც გამორიცხულია.”¹

„აღდგენითი მართლმსაჯულება გამოიყენება ყველა ასაკის მქონე ადამიანის მიმართ, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან მიმართებაში, რადგან ის უზრუნველყოფს მათ ემოციურ და მორალურ განვითარებაზე გრძელვადიან ზეგავლენას. მას ძალუძს შეაჩეროს ახალგაზრდა სამართალდამრღვევის ბრდასრულ დამნაშავედ ჩამოყალიბების პროცესი.”² „ზოგი ჩვენგანი ეჭვის ქვეშ აყენებს ასეთი განმარტების მნიშვნელობასა და საჭიროებას. მაშინ, როცა ვაღიარებთ მის პრინციპებსა და საკვანძო საკითხებს, ჩვენ გვადარდებს, რომ არ შეიქმნას ხისტი განმარტება, აღდგენითი მართლმსაჯულება პატივისცემაა. რომელიც გაუღწეოდა გადაჭარბებული თავდაჯერებითა და აბსოლუტურობაზე პრეტენზიით. სწორედ ამიტომ, აღდგენითი მართლმსაჯულების მუშა განმარტება აღდგენითი მართლმსაჯულება პროცესია, რომელიც ცდილობს, რამდენადაც შესაძლებელია, ჩართოს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეები, რომლებმაც შეთანხმებულად უნდა განსაზღვრონ მიყენებული ზიანი, საჭიროებები და პასუხისმგებლობები და შეძლებისდაგვარად იზრუნონ მდგომარეობის გამოსწორებაზე.”

³ აღვნიშნავთ, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტები, არავითარ შემთხვევაში არ მოერგება ყველა სიტუაციას. ჯერ კიდევ გაურკვეველია, უნდა შეიცვალოს თუ არა სამართლებრივი სისტემა, თუნდაც სრულყოფილ სამყაროში. ბევრის აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღდგენითი მართლმსაჯულება ფართოდ დაინერგა, დასავლური სამართლებრივი სისტემის გარკვეული მოდელის (სასურველია აღდგენით მეთოდებზე ორიენტირებული) შენარჩუნება საჭირო იქნება, როგორც ალტერნატივა და ადამიანის ძირითადი უფლებების დამცველი. ამავე დროს „მედიაციის პროგრამების მსგავსად, აღდგენითი მართლმსაჯულების მრავალი პროგრამა ითვალისწინებს

¹ შალიკაშვილი, 2016, გვ.91(შალიკაშვილი, მ; მიქანაძე, გ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სახელმძღვანელო თბილისი 2016)

² მეფარიშვილი, 2011, გვ.22(მეფარიშვილი, გ. ჩხეიძე, ი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2011)

³ ზეჰრი, 2013, გვ.40(ზეჰრი, ჰ; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

დაზარალებულის, დამნაშავეისა და, თუ მისაღებია, საზოგადოების წევრების დაგეგმილი ან მოულოდნელი შეხვედრის ხელშეწყობის შესაძლებლობას. თუმცა მოულოდნელი შეხვედრა ყოველთვის არ ხორციელდება და არ არის მისაღები. „აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვანია მაშინაც, როცა დამნაშავე არ არის დაპატიმრებული ან იმ შემთხვევაშიც, როდესაც რომელიმე მხარე შეხვედრაზე უარს აცხადებს. ასე რომ, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომები არ შემოიფარგლება მხოლოდ შეხვედრით. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხორციელდება მოულოდნელი შეხვედრა, ტერმინი „მედიაცია“ არ არის შესაბამისი აღწერა იმისა, რასაც შეიძლება აღვიღო ჰქონდეს. კონფლიქტისას ან დავისას, რომელშიც ჩართული არიან მედიატორები, იგულისხმება, რომ მხარეების მორალური დონე თანაბარია და პასუხისმგებლობა ყველა მხარემ უნდა გაიზიაროს. მაშინ, როცა ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს საერთო დანაშაულის განცდა, შემთხვევათა უმეტესობაში ასეთი განცდა არ არსებობს. გაუპატიურებისას ან ყაჩაღობისას დაზარალებულებს არ სურთ თავი მიიჩნიონ დანაშაულის „მონაწილეებად“. სინამდვილეში, შესაძლოა, ისინი ცდილობენ, გადალახონ საკუთარი დანაშაულის განცდა. ნებისმიერ შემთხვევაში, აღდგენითი მართლმსაჯულების შეხვედრაში მონაწილეობისათვის საჭიროა, დამნაშავე ნაწილობრივ მაინც იღებდეს საკუთარ თავზე დანაშაულის პასუხისმგებლობას.”¹ აღდგენითი მართლმსაჯულება მოიცავს პრევენციას, განრიდების ღონისძიებებს, რეაბილიტაციას, დაკავების ალტერნატივებს, დაპატიმრების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებსა და შეძლებისდაგვარად მოკლე დროით გამოყენებასა და სიკვდილით დასჯისა და ფიზიკური სასჯელების აკრძალვას. მიზი მიზანია მსვერპლს, დამნაშავესა და საზოგადოებას შორის არსებული დაზიანებული კავშირის აღდგენა. მართლმსაჯულების ეს მიდგომა ხელს უწყობს ზიანის გამოსწორებას, მონაწილე მხარეების შერიგებასა და საზოგადოებაში დარღვეული ჰარმონიის აღდგენას. იგი გამოიყენება ყველა ასაკის ადამიანის მიმართ, თუმცა განსაკუთრებით ეფექტიანია არასრულწლოვან დამნაშავეებთან, ვინაიდან იგი დადებით გავლენას ახდენს ბავშვის მორალურ და ემოციურ განვითარებაზე. ამ მიდგომამ შეიძლება შეაჩეროს

¹ ჰამილტონი, 2010, გვ.19(ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

არასრულწლოვანი დამნაშავის სრულწლოვან სამართალდამრღვევად გადაქცევის პროცესი.”¹ როგორც მოცემულიდან ჩანს აღდგენითი მართლმსაჯულება ფართო ცნებაა, ვიდრე მას პაექტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე განმარტავენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების დარგი იმდენად სწრაფად გაიზარდა და იმდენი მიმართულებით განვითარდა, ზოგჯერ ძალიან რთულია განსაზღვრა, რა კუთხით უნდა მოხდეს სამომავლოდ საქმიანობის გაგრძელება ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს ერთიანობა და კრეატიულობა. მხოლოდ ნათელი წარმოდგენა პრინციპებსა და მიზნებზე, მოგვცემს სწორ მიმართულებას ამ მიხვეულ-მოხვეული და ბურუსით მოცული გზის გასაკვლევად. „დასავლური საზოგადოება და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, ზედმეტად სხირად იყენებენ ციხეებს. იმ შემთხვევაში, თუ აღდგენით მართლმსაჯულებას სერიოზულობით მოვეკიდებით, ჩვენ ნაკლებად ვიქნებით დამოკიდებული ციხეზე და შეიცვლება მათი ბუნებაც. თუმცა, შესაძლებელია აგრეთვე აღდგენითი მართლმსაჯულების მეთოდების გამოყენება სასჯელთან ერთად ან პარალელურად. აღდგენითი მართლმსაჯულება არ არის უპირობო პატიმრობის ალტერნატივა.”² ყოველივე ზემოაღნიშნული, განაპირობებს მართლმსაჯულების არსებული სისტემის დახვეწის მიზნით, საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული გზების მუდმივ ძიებას. ამ გზების ძიებამ მრავალ ალტერნატივამდე მიგვიყვანა. „ერთ-ერთი საინტერესო გზა, რომელიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მიერ იქნა არჩეული, რათა დანაშაულის ჩამდენს მიუხედავად ჩადენილი შეცდომისა, ცხოვრების ნორმალურ რიტმში გაგრძელების საშუალება მიეცეს, გახლავთ აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების დამკვიდრება სისხლისსამართალწარმოების პროცესში.”³ „აღნიშნული გზით განაგრძობს განვითარებას ქართული სისხლის სამართალწარმოებაც და კანონმდებლობა დღეს უკვე გვთავაზობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ მექანიზმებს. 2009 წელს,

¹ შაპოვიჩი, დოეპი, ცერმატენი, 2012, გვ. 345(• შაპოვიჩი;ნ;დოეკი,ი;ცერმატენი, უ; ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში 2012)

² ზეჰრი, 2013, გვ.15(ზეჰრი, ჰ; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

³ ჰამილტონი, 2010, გვ.19(ჰამილტონი,ქ;არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებასთან ერთად, სისხლის სამართალწარმოებაში დამკვიდრდა ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა: პროკურორის დისკრეცია, არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდება. გაჩნდა ტერმინი „საჯარო ინტერესი.“ კოდექსის მიღებასთან ერთად, დამტკიცდა „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები,“ რომლითაც პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.”¹ აღსანიშნავია, რომ დღეს უკვე რეალურად გვაქვს სიტუაცია, როცა კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში გამოყენებული იქნას აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები და ამ ელემენტების გამოყენების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს პროკურორს. საჯარო ინტერესის შესაბამისად, სწორედ პროკურორი წყვეტს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანშეწონილობას. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორს აძლევს იმ საკითხთა სახელმძღვანელო, საორიენტაციო ჩამონათვალს, რომელებზედაც არის დამოკიდებული თუ რა გზით წავა მართლმსაჯულება ტრადიციული მართლმსაჯულების თუ აღდგენითი მართლმსაჯულების გზით...როგორც ვხედავთ, მართლმსაჯულების საინტერესო სისტემას გვთავაზობს აღდგენითი მართლმსაჯულება და სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში სრულიად განსხვავებული რეალობის წინაშე გვაყენებს. აღდგენით მართლმსაჯულებაზე დაფუძნებული სასამართლო სისტემა მიზნად ისახავს არა დამნაშავის დასჯას, არამედ გამოსწორებას. როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მომხრეები გვარწმუნებენ მართლმსაჯულება უპირველესად, ერთგვარ მკურნალობას უნდა ისახავდეს მიზნად და მკურნალობა უნდა ეხებოდეს როგორც დამნაშავეს, ასევე დაზარალებულს და მთლიანად საზოგადოებას.” აქამდე სისხლის სამართალში აღიარებული მთავარი მიზანი, რომელიც ამოფარებული გახლდათ დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანს, პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოადგენდა. მიუხედავად

¹ ჩხეიძე, 2015, გვ.108(მეფარიშვილი, გ. ჩხეიძე, ი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2011)

ცალკეულ პერიოდში განხორციელებული ლიბერალური რეფორმებისა, სისხლის სამართალში წამყვანი ყოველთვის პასუხისმგებლობის აუცდენლობის პრინციპი გახლდათ. აღნიშნულ მიდგომასაც ჰქონდა თავისი მიზეზები. მაგალითად, დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერების შიში, რაც მეტად სახიფათოა ქვეყანაში მართლწესრიგის რღვევის კუთხით. შესაბამისად, მკაცრი სისხლისსამართლებრივი სასჯელები შესაძლებელია წარმოადგენდეს კიდევ სერიოზულ შემაკავებელ ბერკეტს პოტენციური დამნაშავისათვის თავი შეიკავოს დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანისგან. „რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ამერიკის სისხლის სამართლის ფილოსოფია „დამსჯელი მართლმსაჯულების“ იდეას ავითარებს და მიზნად ისახავს, დამნაშავე პროპორციული სასჯელით დასაჯოს. „მან პასუხი უნდა აგოს და ეს არა მხოლოდ პრაგმატული და მატერიალური მიზნების გამო უნდა მოხდეს, არამედ იმისთვის, რომ შემდეგში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.“¹ თუმცა, დღეს უკვე ცალსახად ვაღიარებთ, რომ მხოლოდ „შიში არ შეიქმს სიყვარულს“ და იმ უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, რაც პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას და მის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრას მოჰყვება, აუცილებელია სხვა გზით სიარული. დაბოლოს აღდგენითი მართლმსაჯულების არსის სწორად გაგებისთვის აუცილებელია: მოხდეს საზოგადოების სწორი ინფორმირება აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ. დაუშვებელია საზოგადოებას ჰქონდეს წარმოდგენა თითქოს აღდგენითი მართლმსაჯულება დამნაშავის დაუსჯელობას ნიშნავს. ასეთი წარმოდგენების არსებობის პირობებში ბუნებრივია, დაზარალებულიც უნდობლობის თვალთ უყურებს აღდგენით მართლმსაჯულებას, რაც სრულიად ანგრევს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს და მთავარ მიზანს. ხშირად არათუ დაზარალებული, არამედ დანაშაულის ჩამდენი პირიც არასწორად აღიქვამს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას, ვერ აღიქვამს მის მიერ ჩადენილი ქმედების მნიშვნელობას და მიაჩნია, რომ მას ისეთი არათვრი ჩაუდენია, რომ პასუხი აგოს, ამიტომაც ეპატია ჩადენილი. „ამ საკითხებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებისას

¹ Breidenbach, 2002, 7(Breidenbach, S., Mediation – Struktur, Chancen und Risiken von Vermittlung im Konflikt, 1995)

დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლები და ვიდრე აღნიშნული მექანიზმების გამოყენებას გადაწყვეტს აუცილებლად უნდა მოახდინოს მხარეთა სწორი ინფორმირება; მნიშვნელოვანია საზოგადოება აცნობიერებდეს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში პიროვნების ინტერესებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს გვაძლევს.¹ „აღდგენითი მართლმსაჯულების დადებით მხარეს სისხლის სამართლის საქმეში, გარდა ბრალმდებლისა და ბრალდებულისა, სხვა დაინტერესებულ პირთა აქტიური ჩართვა და მათი ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენს. რაშიც ვგულისხმობთ დაზარალებულის აქტიურ ჩართულობას და არა მხოლოდ მონაწილის სტატუსით მის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში. საზოგადოებამ სწორედ ის უნდა გააცნობიეროს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება თანაბრად არის მიმართული ბრალდებულისა და დაზარალებულის ინტერესებზე და არ გულისხმობს, რომელიმე მათგანის უფლებების იგნორირებას. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება არ არის აქამდე დამკვიდრებული სამართლებრივი სისტემის შემცვლელი და მისი ელემენტების გამოყენება ტრადიციული მართლმსაჯულების ფარგლებში ძალიან დინჯად და გონივრულად უნდა ხდებოდეს.

§ 3. აღდგენითი და ტრადიციული მართლმსაჯულების ურთიერთგამიჯნა

„აღდგენითი მართლმსაჯულების მოძრაობა თავდაპირველად დაიწყო, როგორც დანაშაულის მიერ წარმოშობილი საჭიროებების და ასევე, დანაშაულში შესრულებული როლების ხელახლა გადახედვის მცდელობა.“² აღდგენითი მართლმსაჯულების მომხრეები წახდნენ, რომ ტრადიციულ სამართლებრივ სისტემაში მრავალი საჭიროება არ

¹ შაპოვიჩი, დოეპი, ცერმატენი, 2012, გვ. 342(შაპოვიჩი;ნ;დოეპი,ი;ცერმატენი, უ; ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში 2012)

² ჩხეიძე, 2015, გვ.107 (მეფარიშვილი, გ. ჩხეიძე, ი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2011)

კმაყოფილდებოდა. აგრეთვე, ისინი თვლიდნენ, რომ ლეგიტიმური მონაწილეების ან დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულება ზედმეტად რესტრიქციული იყო. აღდგენითი მართლმსაჯულება დაინტერესებული მხარეების წრეს აფართოვებს სახელმწიფოსა და დამნაშავეს მიღმა. დაინტერესებულ პირთა და უშუალოდ ამბის ან საქმის მონაწილეთა გარდა, სურს აგრეთვე ჩართოს დაზარალებული მხარე და საზოგადოების ჩართულობა. „რაც უფრო მეტად ვითარდება ეს აღდგენითი მართლმსაჯულება, მით უფრო რთული და მრავლისმომცველი ხდება დაინტერესებული მხარეების ანალიზი. შემდგომი მსჯელობა სწორედ იმ არსებით თემებს შეეხება, რომლებიც მოძრაობის დაარსებიდან დღემდე ცენტრალურ როლს თამაშობენ. ის შეეხება მხოლოდ „სამართლებრივ“ საჭიროებებს დაზარალებულების, დამნაშავეებისა და საზოგადოების წევრების იმ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილდეს სამართლებრივი სისტემის მეშვეობით.¹ დავამატებთ, რომ „აღდგენით მართლმსაჯულებას შუძლია უზრუნველყოს კონცეპტუალური ჩარჩო (მონახაზი), რათა განამტკიცოს და ლეგიტიმური გახადოს იმ ტრადიციების დადებითი მხარეები და ზოგიერთ შემთხვევაში შექმნას მორგებული მოდელები, რომელთა ფუნქციონირება შესაძლებელი იქნება არსებული თანამედროვე სამართლებრივი სისტემის რეალობაში.² სხვათა შორის, აღდგენითი მართლმსაჯულების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა ოჯახის ჯგუფური კონფერენცია და სამშვიდობო წრეები ტრადიციული მეთოდების ადაპტირებული (არა რეპლიცირებული) ვერსიებია. „აღდგენითი მართლმსაჯულება განსხვავებით ტრადიციული მართლმსაჯულებისგან, გვიჩვენებს კონკრეტულ გზას, როგორ ჩავრთოთ ეს უკანასკნელი კონფლიქტის გამოსწორებისა და მშვიდობის დამყარების თეორიულ და პრაქტიკულ განხორციელებაში. კონფლიქტების უმეტესობა ტრიალებს უსამართლობის განცდის ირგვლივ ან მოიცავს³ მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის გარდაქმნის და მშვიდობის დამყარების დარგმა ეს მეტნაკლებად გააცნობიერა, ამ დარგში სამართლიანობის კონცეფცია და განხორციელება ძალიან ბუნდოვანია. „აღდგენითი

¹ ზეჰრი, 2010, გვ. 28(ზეჰრი, 3; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

² შაპოვიჩი, 2015, გვ.47(შაპოვიჩი;ნ;დოევი,ი;ცერმატენი, ყ; ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში 2012)

³ <http://unicef.ge/uploads> გამოხმობილია 18.10.2016

მართლმსაჯულების პრინციპებს შეუძლია მოგვცეს მყარი მონახაზი კონფლიქტში სამართლიანობის საკითხების მოსაგვარებლად.”

მაგალითად, „აღმოსავლეთ მენონიტის უნივერსიტეტში (ჰარი სონბურგი, ვირჯინია) კონფლიქტის გარდაქმნის პროგრამის აღდგენითი მართლმსაჯულების კურსის გავლის შემდეგ მრავალი აფრიკელი იურისტი დაბრუნდა განაში, რათა იქ არსებულ ხანგრძლივ კონფლიქტზე გაეგრძელებინა მუშაობა. აღდგენითი მართლმსაჯულების მონახაზის გამოყენებით, მათ პირველებმა შეძლეს, შეხებოდნენ კონფლიქტში არსებულ სამართლიანობის საკითხებს. ამის აღდგენითი ადათები აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი შედეგად, სამშვიდობო ძალისხმევამ დაიწყო წინსვლა. აღდგენითი მართლმსაჯულების დარგები ძალიან მრავალფეროვანია, ამიტომ ძნელია მათი მარტივი კლასიფიკაცია. თუმცა, ქვემოთ მოყვანილი არის მცდელობა, წარმოგიდგინოთ დასავლეთის სისხლისსამართლებრივ სისტემაში განვითარებადი რამდენიმე პრაქტიკის მოკლე მონახაზი.”¹ უფრო ნათელი რომ იყოს საკითხი, ვნახოთ რა არის აღდგენითი მართლმსაჯულება და რა პრინციპებს ეფუძნება ის აღდგენითი, ანუ „რესტორაციული“ (აღდგენა, რესტავრაცია) მართლმსაჯულება, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. შესაბამისად: „აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში არ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. დანაშაულის ჩამდენ პირს, რომელიც აღდგენით მართლმსაჯულებაში იქნება ჩართული, განსხვავებით აღდგენითი მართლმსაჯულებისგან, არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და რაც მთავარია არ ითვლება ნასამართლევად. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს მისთვის ჩადენილის უპირობო პატიებას. “² „აღდგენითი მართლმსაჯულება ალტერნატიულ მექანიზმებს სთავაზობს კანონდამრღვევს სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერებისთვის. ამავე დროს აღდგენითი მართლმსაჯულება ერთი მხრივ, დანაშაულის ჩამდენ პირს დანაშაულის ხასიათის, დამნაშვის პიროვნების

¹ <http://www.ph-int.org/shared>, გამოხმობილია 20.11.2016

² ჩხეიძე, 2015, გვ.108((მეთუარიშვილი, გ. ჩხეიძე, ი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2011)

გათვალისწინებით სთავაზობს გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება სუფთა ფურცლიდან, მეორე მხრივ აღდგენითი მართლმსაჯულება ეს არის მართლმსაჯულების ის მიმართულება, რომელიც რიგ შემთხვევაში გვთავაზობს დანაშაულის შედეგად დარღვეული უფლებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ბრალდებულისა და დაზარალებულის ინტერესების შესაბამისად. ⁶

აღდგენითი მართლმსაჯულების გონივრულად გამოყენების პირობებში დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან შეხვედრის და დიალოგის გზით, ყველაზე უკეთ აცნობიერებენ პასუხისმგებლობას და ერთმანეთის საჭიროებებს. აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის პრიორიტეტულია ზრუნვა ადამიანის უფლებებზე, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაზარალებულის ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ გზით საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. „აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში ყოველთვის დაისმის კითხვები: რა აწუხებს მხარეებს; რა არის მათი საჭიროებები; ვის მხარეს არის ვალდებულებები; რა არის დანაშაულის ჩადენის მიზეზები; შეუძლიათ თუ არა პროცესში ჩართულ პირებს იზრუნონ მიზეზების აღმოფხვრაზე და ადამიანის უფლებების აღდგენაზე ტრადიციული მართლმსაჯულების განხორციელებისას კი, უპირატესია შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: სამართლის რომელი ნორმა დაირღვა; ვინ დაარღვია კანონი; რა სასჯელს იმასახურებს დამნაშავე? ტრადიციული მართლმსაჯულება სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის და საზოგადოების სრულ ჩართულობას სამართალწარმოების პროცესში. ¹ „მაგალითებით რომ ვისაუბროთ, სამართლის ფილოსოფოსი კონრად ბრანკი ამტკიცებდა, რომ თეორიულ და ფილოსოფიურ დონეზე დასჯა და აღდგენა არ არის სრულიად ერთმანეთის საპირისპირო, როგორც ამას ხშირად ჩვენ ვგულისხმობთ. სინამდვილეში, მათ მრავალი საერთო აქვთ. ორივეს, დასჯისა და აღდგენის თეორიის უპირველესი მიზანია დაიცვას და დაეხმაროს გაზიარებისა და უსამართლობის გამოსწორების მეშვეობით. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ისინი განონასწორების მისაღწევად სხვადასხვა გზას მიიჩნევენ ეფექტურად. როგორც სადამსჯელო, ასევე აღდგენითი მართლმსაჯულების თეორია

¹ ჰამილტონი, 2013, გვ.34(ჰამილტონი,ქ;არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

ძირითადი მორალური ინტუიციის საფუძველზე აღიარებს, რომ დანაშაულის შედეგად ირღვევა ბალანსი.” აქედან გამომდინარე, დაზარალებული რაღაცას იმსახურებს და დამნაშავე ხდება ვალდებული. ორივე მიდგომა ამტკიცებს, რომ უნდა არსებობდეს პროპორციული კავშირი ქმედებასა და ვალდებულებას შორის.

დასჯის თეორიას სჯერა, რომ სასჯელი ტკივილის საზღაურია, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შედეგი ხშირად საპირისპიროა როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავესთვის. მეორე მხრივ, აღდგენითი მართლმსაჯულების თეორია ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი საზღაურია დაზარალებულის ზიანისა და საჭიროებების გაცნობიერება, აქტიური ძალისხმევა, რომ დამნაშავემ აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილზე, მდგომარეობის გამოსწორება და ყურადღების გამახვილება დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე. შურისძიების მოთხოვნის მიმართ ამგვარი პოზიტიური მიდგომით აღდგენით მართლმსაჯულებას აქვს პოტენციალი, დაარწმუნოს როგორც დაზარალებული, ისე დამნაშავე და დაეხმაროს მათ, გარდაქმნან თავიანთი ცხოვრება.¹ „ტრადიციული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაზარალებულს ხშირად რჩება განცდა, რომ სამართალწარმოების პროცესისგან სრულიად გარიყულია და მისი უფლებების დაცვაზე არაფერს ვერ იტყვას, მის სიტყვას, სატკივარს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რაც ზრდის უკმაყოფილებას და უნდობლობას სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ. თუ ტრადიციული მართლმსაჯულების განხორციელების პირობებში გადაწყვეტილებას იღებენ პროკურორი და მოსამართლე, აღდგენითი მართლმსაჯულების მთავარ მიზანს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება მიანდოს იმ პირს, ვისაც ყველაზე მეტად შეეხო დანაშაული. რადიკალურად განსხვავებულია სისხლის სამართლისა და აღდგენითი მართლმსაჯულების შეხედულებები დანაშაულის, ვალდებულებების, პასუხისმგებლობის შესახებაც.”² აქვე აღვნიშნავთ, რომ სისხლისსამართლებრივი მიდგომა ასეთია: დანაშაული არის კანონის დარღვევა სახელმწიფოს მიმართ; დანაშაული წარმოშობს პასუხისმგებლობას; დამნაშავეს უნდა

¹ ზეჰრი, 2013, გვ. 63(ზეჰრი, 3; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა 2013)

² Weitekamp, 2003, 111(Weitekamp, E. G. M., Mediation in Europe: Paradoxes and Promises. Restorative Justice For Juveniles: Conferencing, Mediation, and Circles, 2001)

დაეკისროს სათანადო სასჯელი. „რაც შეეხება აღდგენით მართლმსაჯულებას, ის საკითხს ასეთი კუთხით უყურებს: დანაშაული არღვევს ადამიანურ ურთიერთობებს, რაც წარმოშობს პიროვნებებს შორის ვალდებულებებს; დაზარალებული, დამნაშავე და საზოგადოების წევრები ერთობლივად უნდა ზრუნავდნენ უარყოფითი შედეგების გამოსწორებისთვის და დამნაშავის პასუხისმგებლობისას, გათვალისწინებული უნდა იქნას დაზარალებულის საჭიროებები. მიუხედავად ასეთი კონტრასტისა, ვერ ვისაუბრებთ მხოლოდ ერთ-ერთის სიკარგვზე, ან პირიქით. დამოუკიდებლად აღებული ვერც აღდგენითი მართლმსაჯულება და ვერც ტრადიციული მართლმსაჯულება ვერ უზრუნველყოფს სათანადო მიზნების მიღწევას, მაგრამ ამ ორ მიმართულებას შორის ბალანსის დაცვამ და თითოეული მათგანის კომბინირებულმა გამოყენებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს სასურველ მიზნამდე.”¹ „ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულების შეხედულებების ასეთ განსხვავებულობასთან ერთად, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მათ მიერ დასმული თითოეული საკითხი აუცილებლად უნდა იქნას გადაწყვეტილი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ირღვევა სახელმწიფოში დამკვიდრებული მართლწესრიგი, დანაშაული ბევრ სახელმწიფოებრივ პრობლემას წამოსწევს წინ. ამასთან, დანაშაული ნამდვილად არღვევს ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებსაც და მათი აღდგენა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვისაც მნიშვნელოვანია.”(Johnstone, 2002, 4)² სწორედ ამიტომ, დანაშაულმა უნდა გამოიწვიოს პასუხისმგებლობა და სახელმწიფო სათანადოდ უნდა რეაგირებდეს დანაშაულის თითოეულ ფაქტზე, მნიშვნელოვანია პირისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა იყოს სამართლიანი, რისთვისაც აუცილებელია ამ პროცესში თანაბრად მოხდეს დამნაშავის, დაზარალებულის და საზოგადოების წევრების ჩართულობა, დამნაშავისა და დაზარალებულის საჭიროებების გათვალისწინება. „აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის მიხედვით სახელმწიფო უნდა იყოს სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრებაზე პასუხისმგებელი, ხოლო საზოგადოება - საზოგადოების წევრებს შორის სტაბილური და მშვიდობიანი ურთიერთობის

¹ Meier, 2001, 36(Meier, B.-D., Strafrechtliche Sanktionen, 2001)

² Ostendorf, 2000, 15(Ostendorf, H., Wieviel Strafe braucht die Gesellschaft 2000)

შენარჩუნებაზე. სახელმწიფოს დაზარალებულთან და სამართალდამრღვევთან უნდა გააჩნდეს იმგვარი დამოკიდებულება, რომ სამართლებრივი წესრიგის აღდგენა „რეპარაციის“ მეშვეობით იყოს შესაძლებელი.

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს რესტიტუციისა და კომპენსაციის გამართლებას და ამავედროულად, იძლევა დანაშაულის ჩამდენის მიმართ სამართლიანი მოპყრობის გარანტიას.”¹ ამავე დროს „აღდგენითი მართლმსაჯულება ფუნდამენტური სოციალური ურთიერთობების აღდგენის ირგვლივ ტრიალებს, განსვხავებით ტრადიციულისგან ამ უკანასნელის მიზანია ისეთი სოციალური თანასწორობის დამკვიდრება, სადაც ნებისმიერი ინდივიდის უფლებები და ღირსება თანაბრად იქნება დაცული. ყოველივე ზემოაღნიშნული ცალსახა დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ უნდა არსებობდეს. დამოუკიდებლად არც ერთ მათგანს არ ძალუძს იმ მთავარი მიზნის მიღწევა, რასაც საზოგადოებაში მართლწესრიგის დამკვიდრება და სამართლიანობის განმტკიცება ჰქვია.” (Weitekamp, 2003, 113) აღნიშნული განაპირობებს ტრადიციული მართლმსაჯულების ფარგლებში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების შემოჭრას და დამკვიდრებას, რისი აუცილებლობის წინაშეც მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეტაპის გავლის შემდეგ, ქართული სისხლის სამართალწარმოება ბუნებრივად დადგა. საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის გარდა, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, შემოიტანა აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი კლასიკური ინსტიტუტი, როგორცაა განრიდება.

¹ (rp.tsu.ge/index გამოხმობილია 10.08.2015წ.)

4. შეჯამება

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში არასრულწლოვანი ყოველთვის იყო ფაქტიურად ყველა განვითარებადი ქვეყნის ყურადღების ცენტში. ამავე დროს, თითოეულ განვითარებულ თუ განუვითარებელ ქვეყანაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანს განსაკუთრებული მიდგომა ჭირდება, მით უფრო როცა საქმე გვაქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია აღდგენითი მართლმსაჯულების როლი, რომელსაც დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს. ვინაიდან დიდი ხანია, რაც საქართველომ აირჩია ევროპული გზა და შესაბამისად ინტენსიურად უნდა განხორციელდეს ქართული კანონმდებლობის მორგება საერთაშორისო სტანდარტებზე. აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში თანმიმდევრული ნაბიჯების გადაიდგას არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით ეროვნულ-სამართლებრივი ბაზების, პოლიტიკისა და ღონისძიებების ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციასთან უფრო მეტად შესაბამისობაში მოყვანის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ტრადიციული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პარალელურად აღდგენითი მართლმსაჯულების დანერგვასა და განვითარებას გააჩნია, როგორც მნიშვნელოვანი კრიმინალურ-პოლიტიკური, ისე თეორიული საფუძვლები. ერთის მხრივ აღდგენითი მართლმსაჯულება პასუხობს დანაშაულის მსხვერპლის ძირითად მოთხოვნებსა და საჭიროებებს, აუმჯობესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას და ამით აქცევს ამ უკანასკნელს პროცესის აქტიურ სუბიექტად. გარდა ამისა აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი არის ეფექტური გზა დანაშაულის შედეგების გამოსწორებისთვის. იგი ეხმარება დანაშაულის ჩამდენსა და დაზარალებულს დანაშაულის შედეგად დარღვეული ადამიანური ურთიერთობების აღდგენაში. მეორეს მხრივ, ზემოთ განხილული

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი აძლევს სახელმწიფო შესაძლებლობას, რეაგირების გარეშე არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და იზრუნოს დანაშაულის ჩამდენის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე და საზოგადოებაში მის ხელახალ ინტეგრაციაზე. მაშასადამე აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი არ წარმოადგენს უცხო სხეულს ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რამდენადაც იგი შესაძლებელს ხდის მიღწეულ იქნეს იგივე და იმაზე უფრო მეტი შედეგი, რომელიც მიიღწევა ტრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ფაქტიურად ყველა საერთაშორისო დოკუმენტში მკაცრად არის განსაზღვრული არასრულწლოვნის სტატუსი, მისი მდგომარეობა და უფლებებისადმი პატივისცემა. აქედან გამომდინარე ყოველივე ეს აისახება შიდასახელმწიფოებრივ ნომრატულ აქტებში. ძალიან საინტერესოა აღნიშნული მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რაც შეიძლება ითქვას რომ გვაძლევს თვალნათელ სურათს ნორმატიული მასალის ქმედითობის და დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამავე დროს თითოეული საერთაშორისო დოკუმენტში მოცემული ძირითადი არსი, რომელიც ასე თუ ისე შეიცავს არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ასპექტებს თუ არ იქნა ყველა განვითარებადი სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკის მინიმალურ დონემდე დაყვანილი ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელის არსებობას აზრი ეკარგება. სწორედ ამიტომ არსებითი ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნულ მიმართულებაზე.

თავი 2. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები

§ 1. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში

„21-ე საუკუნემ მოიტანა ბავშვთა უფლებებზე და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული კანონმდებლობის აუცილებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, რადგან აღნიშნული სფერო მეტად ფაქიზი და საყურადღებოა. ევროპული მიდგომების საკვანძო მახასიათებელია ორიენტაცია პრობლემის აღიარებაზე და მის მიმართ პრაგმატული და რეალისტური სტრატეგიის განხორციელებაზე. არასრულწლოვანთა მიმართ არასწორი სასჯელის შეფარდებისას გამონვეული ზიანი თავს იჩენს ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფო დონეზე და საჭიროებს კომპლექსურ და თანმიმდევრულ მიდგომას.“(მახარობლიძე¹, „იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნმა გაიაზროს, შეათავსოს და მონაწილეობა მიიღოს მის მიმართ დანყებულ სამართალწარმოებაში.“²

„1990-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ფრომით გამოვლენილ ძალადობას ჰქონდა ადგილი. ეს ყველაფერი თავდაპირველად გვწყინდა, განვიცდიდით, მაგრამ მერე თითქოს აღარ გვიკვირდა, თავზარს აღარ გვცემდა. ეს პროცესები, ბუნებრივია არასრულწლოვნებზეც აისახა. ქვეყანაში მიმდინარე ზოგად-სოციალურმა მოვლენებმა ცალკეულ ოჯახებშიც ჰპოვა ასახვა, რაც შემდეგ ოჯახში ჩადენილი ძალადობისა და ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე სხვა მძიმე დანაშაულთა ჩადენის მიზეზი გახდა. შემდეგ კი ამ ყველაფრით დაზარალებული ბავშვები მივიღეთ. ეს იყო საქართველოში ძალადობის წლებში დაბადებული და აღზრდილი ბავშვები, როცა აგრესიის და სისატიკის რისკი მაღარლი გახლდათ.“³

¹ მახარობლიძე, 2016, გვ. 284(ივანიძე, მ.თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი.მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანაზილი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017)

² Breidenbach, S 1995 გვ.52 (Mediation – Struktur, Chancen und Risiken von Vermittlung im Konflikt, 1995)

³ ივანიძე, თოდუა, ვარძელაშვილი, მახარობლიძე, 2017, გვ.140(ივანიძე, მ.თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი.მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანაზილი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017)

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს აისახებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელზე და ასევე დაკავშირებული იყო თავის მხრივ არასრულწლოვანთა გაუმართლებლად მკაცრ მართლმსაჯულებასთან. აღნიშნულის საპირისპიროდ ორი ათეული წლის შემდეგ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ჩნდება არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ნოვაციას წარმოადგენს, მიუხედავად ამისა ეს უკანასკნელი საფუძვლიანად დამკვიდრდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში. სანამ უშუალოდ აღნიშნული პროგრამის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის სამეცნიერო განხილვაზე გადავიდოდეთ, ვთქვათ საინტერესო იქნება განვსაზღვროთ განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიული ასპექტები. „რაც შეეხება საქართველოს წარსულს, სამართლის ისტორიის მიხედვით, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება ქართული სინამდვილისთვის ნოვაციად შეიძლება არც ჩაითვალოს. ქვეყანაში არსებობდა მედიაციის ინსტიტუტის მიახლოებითი მოდელი, რომელიც შინაარსითა და დანიშნულებით ჰგავდა სასამართლოზე დაფუძნებულ მედიაციას. კერძოდ, მე-19 საუკუნის ძეგლში „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ საუბარია ბჭე-მედიატორების ინსტიტუტზე. ცნობილია, რომ ქართულ სამოსამართლო პრაქტიკაში ბევრი დავა ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე ემოციურ ფონზე მიმდინარეობს. ქართველების ეთნოთავისებურებები ხშირად განაპირობებს იმას, რომ მხარეები არ ზოგავენ თავიანთ ღროს, ენერგიას, რადგან მათთვის პროცესის დასასრულს „უპირატესობის განცდა“ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ორმხრივად სასარგებლო, გონივრული შედეგი. ასეთი დავებისთვის, სადაც ნამდვილი სადავო საკითხები არ თავსდება სამართლებრივ ჩარჩოებში, მედიაცია სწორი არჩევანია. ამ ემოციურ ფონს სწორი მიმართულება უნდა მიეცეს და სათანადო სიტუაციაში პრობლემის გადაჭრის ხერხადაც შეიძლება იქნეს გამოყენებული“ (მედიაციის რეგულირების სამართლებრივი პერსპექტივები საქართველოში, 2013, გვ. 23) ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულიდან ქართველმა კანონმდებელმა ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებებით გამოხატა

მზაობა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის შემოღება-ჩამოყალიბებასთან მიმართებაში.

საქართველოში 2010 წლის 15 ნოემბერს დაიწყო არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა, პროგრამის დაწყება ეფუძნებოდა სს საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეხუთე ნაწილის ჩანაწერს, რომელიც პროკურორს უფლებამოსილებას აძლევდა არასრულწლოვანთან გაეფორმებინა ხელშეკრულება განრიდების და მედიაციის შესახებ.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან ერთი თვის თავზე 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენი კანონმდებელი აფიქსირებს აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების შესაძლებლობას და შემოაქვს განრიდების და მედიაციის ინსტიტუტები. კანონმდებელი სახელშეკრულებო ფრომით უშვებს განრიდების ან განრიდების და მედიაციის გამოყენებას.“¹

2010 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, არასრულწლოვან მსჯავრდებულთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმების სრულყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, რეფორმის ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ნორმების ალტერნატიული სქემის შემუშავებისათვის დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, როგორც ეს აღნიშნული კანონპროექტის განმარტებითი ბარათით იყო განსაზღვრული.

„არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის პროცედურები სხვადასხვა ნომრატულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში გაიწერა, კერძოდ „სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის 2010 წლის 07 დეკემბრის N94 ბრძანებით „განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N29 ბრძანება „ განრიდების ან/და განრიდების და

¹ გვენეტაძე, კვაჭაძე, წიკლაური-ლამიხი, გაბუნია, 2012, გვ.113(გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ქ; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012.)

მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის N235 ბრძანებულება „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია.“¹ გარდა აღნიშნულისა, დღეს უკვე განრიდების და მედიაციის პროგრამა რეგულირდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებრვლის N120 -ე ბრძანებით. 2010 წლის 24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებების და დამატებების პროექტი, რომლითაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლს დაემატა 4-6 ნაწილები. მე-4 ნაწილით განისაზღვრა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის თანამხადაც, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მიმენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორს შეუძლია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანწყების ან უკვე დანწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.

განრიდების და მედიაციის პროგრამის პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით ჩართული იყო ფაქტიურად ყველა სახელმწიფო უწყება და შესაბამისად სტრუქტურულმა სამინისტროებმა ბრძანებებში განერეს აღნიშნული პროგრამის გამოყენების ფარგლები. განვიხილოთ თითოეული ბრძანება ცალ-ცალკე: 1)2010 წლის 12 ნოემბრიდან ძალაში შევიდა იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს განრიდებისა და მედიაციის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებს პროკურორებისთვის და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობებს. ზოგად დებულებებში გათვალისწინებულია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ზოგადი არსი, ტერმინთა განმარტების თავში კი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ტერმინების დანვრილებითი განმარტება. პირველად სწორედ აქ ვხვდებით მედიაციის სისხლის სამართლებრივ განმარტებას: „არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის

¹ გვენეტაძე, კვაჭაძე, წიკლაური-ლამიხი, გაბუნია, 2012, გვ. 93(გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ქ; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012,

დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში აგრეთვე მონაწილეობენ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა პირები.¹

მნიშვნელოვანია, ასევე მედიატორის განმარტებაც, რომელიც არის „სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.“ ბრძანებაში განმარტებულია მედიაციის კონფერენცია მედიაციის შეხვედრა; განრიდების ხელშეკრულება, სადაც მონაწილეობს არასრულწლოვანი, სოციალური მუშაკი და პროკურორი; განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება, სადაც დამატებით მონაწილეობს დაზარალებული და მედიატორი. ორივე შემთხვევაში ხელშეკრულებით იზღუდება არასრულწლოვნის ქცევა და უფლება-მოვალეობები. ბრძანების მესამე თავი განსაზღვრავს პროკურორის მიერ შესასრულებელ მოქმედებებს და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობებს. ეს თავი სცემს პასუხს ერთ-ერთ მთავარ შეკითხვას „ვის განარიდებენ?“ საჭიროა შემდეგ პირობათა ერთობლიობა: „ა) არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) არასრულწლოვანს არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში; გ) არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს და მზად არის ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); აღნიშნული ბრძანების ძირითად მიმართულებად მიჩნეულია ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა, ნებაყოფლობითობა, პროპორციულობა, კონფიდენციალურობა, სტიგმატიზაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.² 2) 2010 წლის 7 დეკემბერს გამოქვეყნდა და 2010 წლის 5 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს განრიდებისა და მედიაციის შესახებ

¹ <http://pog.gov.ge/geo/projects/curr> გამოხმობილია 12.02.2017

² <http://prevention.gov.ge/page/28/geo> გამოხმობილია 22.01.2017

სახელმძღვანელო მითითებებს მედიატორებისთვის. ბრძანების I და V თავებში მოცემულია ოუსტიციის მინისტრის ბრძანების იდენტური რეგულირებები ტერმინთა განმარტებასა და პრინციპებთან დაკავშირებით. III თავი დაწვრილებით აღწერს მედიატორთა შერჩევას, საქმის გადაცემას მედიატორისათვის, წინასაკონფერენციო ეტაპს, კონფერენციის მომზადებას, კონფერენციას მედიატორის ვალდებულებების კუთხით. მედიატორი უნდა შეარჩიონ თავად მხარეებმა. ბრძანება კრძალავს ყოველგვარი მიკერძოების გამოვლენას. „მედიატორსა და მხარეებს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული და/ან პროფესიული კავშირი. მედიატორი, ისევე როგორც მედიაციის მხარეები, მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ვალდებულნი არიან პირდაპირ განაცხადონ ამგვარი კავშირის შესახებ. ამ შემთხვევაში ხდება მედიატორის აცილება და იმავე წესით შერჩეული ახალი მედიატორით შეცვლა.“¹ გარდა ამისა, „მედიატორები გადიან ინტენსიურ მომზადებას, რაც მოიცავს საერთაშორისო ექსპერტების მეორე ჩატარებულ 78 საათიან ტრენინგს. მედიატორებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი და შემდგომ შეუძლიათ დაიწყონ საქმიანობა. წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით ხელი შეუწყოს მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას. ამ ეტაპზე მედიატორი ცალ-ცალკე უკავშირდება არასრულწლოვანსა და დაზარალებულს, ესაუბრება მათ მედიაციის არსის, მიზნებისა და წესების შესახებ, აწვდის დეტალურ ინფორმაციას ხელშეკრულების სავარაუდო პირობების თაობაზე, აგრეთვე ათანხმებს ამ პირობებს. მოლაპარაკებებს მედიატორი როგორც დაზარალებულთან, ისე არასრულწლოვანთან ინდივიდუალურად აწარმოებს. ამ ეტაპზე მისი მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა მედიაციის პროცესში და მიაღწიოს მხარეთა შორის კონსენსუსს მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებით.“² 3) „2011 წლის 22 თებერვალს ამოქმედდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს განრიდების ან/და განრიდებისა და

¹ შალიკაშვილი, მ. 2013, გვ.45(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

² <http://ncadr.tsu.edu.ge/admin/upload/> გამოხმობილია 11.01.2017

მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლსა და საქმიანობის წესს. პრინციპები იუსტიციის მინისტრის ბრძანების იდენტურია ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით. მოცემული ბრძანება განსაზღვრავს, თუ ვინ არის სოციალური მუშაკი. ეს არის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის

თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით.“ მე-4 მუხლი დეტალურად არეგულირებს სოციალური მუშაკის მონაწილეობას პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ არ ხდება სპეციალური კრიტერიუმებით კონკრეტულ საქმეზე სოციალურ მუშაკთა შერჩევა და საქმე გადაეცემა იმას, ვისაც ყველაზე ნაკლები მიმდინარე შემთხვევა აქვს. სოციალური მუშაკის ძირითადი ვალდებულებაა დასკვნა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობები მიანდოს პროკურორს. ამისათვის არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით სოციალური მუშაკი არასრულწლოვანს უტარებს პირველად ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას რომლის „ფარგლებში სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის საჭიროებების, რისკების და უნარების შესახებ მოკლე ინფორმაციას იღებს არასრულწლოვნის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური განვითარების, განათლებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ“, და საჭიროების შემთხვევაში სრულ ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას რაც „მოიცავს სრულფასოვანი და დეტალური ინფორმაციის მოძიებას არასრულწლოვნის საჭიროებების, რისკების და უნარების შესახებ შემდეგი სფეროებიდან: არასრულწლოვნის ფიზიკური მდგომარეობა, ფსიქოემოციური და ქცევითი განვითარება, განათლება, სოციალური უნარ-ჩვევები და ინტერესები“. სოციალური მუშაკი, ასევე, მხარეებს ეხმარება მედიატორის შერჩევის ¹ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით „2010 წლის, ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის

¹ www.coe.int/t/dghl/standardsetting/pris გამოხმობილია 9.11.2016

მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ბაზაზე პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა და ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებულ იქნა პირველი არასრულწლოვანი. თავდაპირველად, პროგრამა იყო საპილოტე და მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წელს დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია.

2013 წლის აგვისტომდე ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი მოქმედებს მთელი საქართველოს¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლს 2010 წლის 30 სექტემბრიდან დაემატა მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები, რომელიც სისხლის სამართალში განრიდებისა და მედიაციის პირველი მარეგულირებელი იყო. ამ ნაწილებით განისაზღვრა ზოგადი დებულებები და იუსტიციის მინისტრის ბრძანების მომავალი ამოქმედება, რომელიც 15 ნოემბერს შევიდა ძალაში. კერძოდ 105 მუხლის მე-5 ნაწილი უთითებს, რომ „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი“ და პროკურორი დასაბუთებული დადგენილებით მიიღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს არასრულწლოვანთან განრიდებისა და მედიაციის შეთანხმება. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით; „თუკი არასრულწლოვანი არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.“² „პროკურატურის დისკრეციის ფარგლებში, პატიმრობის ალტერნატივები იქნა განსაზღვრული. ამ პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპის შემდეგ დადგინდა, რომ განმეორებითი კანონდარღვევის შემთხვევების რიცხვი მეტად დაბალია იმ

¹ <http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Repo> გამოხმობილია 26.01.2017

² www.justice.gov.ge გამოხმობილია 3.11.2016

მოზარდებში, ვინც ალტერნატიულ არასრულწლოვანთა “განრიდების და მედიაციის პროგრამაში” მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 2010-2012 წლებში განრიდება მხოლოდ ნაკლებად მძიმე კანონდარღვევებს შეეხო, დღეს გაუმჯობესებულია შესაბამისი კრიტერიუმები ამ პროგრამაში მოზარდთა ჩასართველად. ამასთანავე, ტრენინგები უტარდებათ მოხელეებს, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწეობენ, რათა გაძლიერდეს მგრძობელობა ამ ბავშვების და მოზარდების საქმეების მიმართ და უკეთ და მართებულად გავაცნობიეროთ აღდგენითი მართლმსაჯულება. ამის გარდა, სასჯალაღსრულების და პრობაციის სისტემაში დაიბადა სასჯელის ინდივიდუალურად დაგეგმვის იდეა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ნაწილი, თუმცა, ეს მიდგომა მოითხოვს ეფექტურ ზედამხედველობას და შემდგომ ინსტიტუციონალურ გაფართოებას.¹ ამ ნაბიჯების შედეგად, მოქმედი „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის“ მიუხედავად, როცა პენიტენციალური სისტემა უპრეცედენტოდ გადაიტვირთა, რაც ფაქტობრივად არასათანადო მოპყრობის ტოლფასი იყო, 2010-2011 წლებში არასრულწლოვნები ერთადერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომელშიც თავისუფლებააღკვეთილთა რაოდენობამ იკლო.”

„2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების

¹ მახარობლიძე, 2016, გვ. 284 (ივანიძე, მ.თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი.მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანაზღილი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017)

შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და არასრულწლოვანს შორის წამროშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის, კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.”¹

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

„განრიდების და მედიაციის პროგრამა სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის ნაწილია და პროკურორებს საშუალებას აძლევს არასრულწლოვანი განარიდონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. თუ ამ დრომდე არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება შეეძლო მხოლოდ მოსამართლეს, ახლა უკვე პროკურორს აქვს უფლებამოსილება განარიდოს არასრულწლოვანი სისხლის სამართალწარმოებას და მის შედეგებს.”² „განრიდების დამედიაციის პროგრამის განხორციელებისას, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს არა მატერიალურ-სამართლებრივი ნომრის საფუძველზე არსებული არასრულწლოვნის სასჯელის ალტერნატივასთან, არამედ მოქმედება პროცესუალურ-სამართლებრივი ნომრის ჩარჩოებში ექცევა და მის ფარგლებში ხდება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.”³

„2015 წლის 5-7 მარტს საერთაშორისო ორგანიზაცია PHI ნტერნაციონალ-ის მხარდაჭერით განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მომუშავე მედიატორებისთვის

¹ <http://www.probaton.gov.ge> გამოხმობილია 17.02.2016წ.

² <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/243> გამოხმობილია 12.08.2016

³ <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/243> გამოხმობილია 12.08.2016

ჩატარდა სუპერვიზიის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მედიატორებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია და შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, ჰქონდათ საშუალება ექსპერტთან ერთად ემსჯელათ პრაქტიკაში გამოვლენილ სირთულეებზე. ასევე, ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით მედიაციის საკითხებში საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი ავსტრიელი ექსპერტის მიერ ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მომუშავე მედიატორებისათვის.”

„განრიდება და მედიაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტიანი ინსტრუმენტია, რომელიც უკვე მეხუთე წელია ხორციელდება. პროგრამა არასრულწლოვანს, რომელიც არ არის ნასამართლევ, შესაძლებლობას აძლევს, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ჩაერთოს შესაბამის პროგრამაში, რომელიც მის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული. პროგრამის ძირითადი პრინციპებია: კონფიდენციალურობის დაცვა, სტიგმატიზაციის დაუშვებლობა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება, რაც ერთად ქმნის დისკრიმინაციის თავიდან აცილების ეფექტურ მექანიზმს. ამ მიმართულების ფარგლებში, ასევე, ხორციელდება პროგრამაში ჩართული პროფესიონალების (პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები) სპეციალური ტრენინგები, რაც კიდევ უფრო ზრდის ღონისძიებათა შედეგიანობას.”¹

ხოლო რაც შეეხება, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მედიაცია ხორციელდება არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის ფარგლებში. თუმცა, იგეგმება მედიაციის როლის, მოქმედების არეალის გაზრდა და მისი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება-დახვეწა. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სასწავლო კურსები ზოგად მედიაციაში (მედიაციის საფუძვლები), აგრეთვე, შემუშავდება და ჩატარდება სასწავლო კურსი სისხლის სამართლის მედიაციაში. განისაზღვრება მედიატორის საქმიანობის სტანდარტი და დადგინდება მედიატორის

¹ www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles გამოხმობილია 10.09.2016

საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მუშაობა წარიმართება მედიაციის ფორმებისა და სფეროების გაფართოებაზე, მათ შორის, სისხლის სამართალში მედიაციის, ე.წ. დაზარალებულ-დამნაშავეს შორის მედიაციის სახეების დანერგვაზე. „საქართველოს მთავრობამ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და განმტკიცების კუთხით საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მაშინ როდესაც, 2009 წლამდე საქართველოში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია კი, მოხდა ძირეული გარდაქმნები. კერძოდ, 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.“¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ინსტიტუტის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის შემოღებით, დაინერგა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ახალი ფრომა, რომელიც პირდაპირ მიმართებაშია სისხლის სამართლის მართებულ პოლიტიკასთან, ხოლო ეს უკანასკნელი დაკავშირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან რომელმაც „არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის დამარეგულირებელი ყველა ნორმა მოიცვა, უდაოდ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული სისხლის სამართლის ჰუმანიზაციის გზაზე. იგი უამრავ მნიშვნელოვან, პროგრესულ ნორმას ითვალსწინებს.“² „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მრავალი საკითხი არსებობს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სიღრმისეულ შესწავლასა და არსებით დამუშავებას მოითხოვს. ბევრი რამ არის გასაკეთებელი არასრულწლოვნის მხრიდან დანაშაულის პრევენციის (სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ პროფილაქტიკური ხასიათის პროგრამების ამოქმედება და სხვა), არასრულწლოვნის მიმართ სასამართლო განხილვისგან ალტერნატიული გზების

¹ მახარობლიძე, 2016, გვ. 281(ივანიძე, მ.თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი.მახარობლიძე, თ.

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანაზღილი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017)

² მჭედლიშვილი-ჭედრიხი, 2015, გვ. 59(მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ. სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. (რედ) შალიკაშვილი, მ. არასრულწლოვანთა საჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები. სტატიათა კრებული თბილისი 2011.

(არაფორმალური პროცესი) დანერგვის, არასრულწლოვნის სტიგმატიზაციისაგან (მისი დამნაშავედ შერაცხვა) დაცვის, მისი რეაბილიტაციისა (რეკრეაციის) და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით.”¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების თანახმად, არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა. იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „განრიდება,“ „გულისხმობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მოზარდის ისეთი სახით მონაწილეობას, რომელიც მისი ფსიქიკისთვის არ იქნება საზიანო. მოზარდის განრიდების და/ან მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, არის სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესის პირველ საფეხურებთან (გამომძიებელი, პროკურორი) შეხება, რამაც კანონმდებლის სურვილით არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი დამნაშავეს ზიანი.”² განრიდება და/ან მედიაცია არის ისეთი სახის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის გამოყენების უფლება აქვს პროკურორს. განრიდება და/ან მედიაცია, როგორც ალტერნატიული მექანიზმი, განერილია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებში და არ იწვევს მოზარდი დამნაშავეს სრულ ჩართვას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში, როგორც ეს შეიძლება მოხდეს სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენი მოზარდების მიმართ. რაც შეეხება უშუალოდ განრიდების და მედიაციის ცნებებს, ნორმატიულ აქტებში განმარტებულია შემდეგნაირად „იუსტიციის მინისტრის N216-ე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის N94-ე ბრძანებების შესაბამისად განრიდება არის არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სამართლის საქმის მსვლელობის ნესბიმიერ სტადიაზე, წინასასამართლო სხდომამდე.”³ მედიაცია

¹ ბოხაშვილი, 2009, გვ. 60(ბოხაშვილი, ი. ბენიძე, მ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, „სამართლის ურნალი“ თსუ N2, თბილისი 2009.)

² შალიკაშვილი, 2013, გვ. 31(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1092540> გამოხმობილია 12.09.2016წ

(ლათ.მედიაჩე - შუამავლობა) სასამართლოს გარეშე კონფლიქტის მოგვარების ფორმა, რომელშიც მონაწილეობს მესამე, ნეიტრალური მხარე მედიატორი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასათვორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე,” ბრძანებით: „მედიაცია განმარტებულია როგორც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის მოგვარება.” აქვე დავამატებთ, რომ მედიაციის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა.

„მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ყველაზე რბილ ფორმას წარმოადგენს. მედიაციის პროცესის დროს, კონფლიქტში მონაწილე მხარეები, დამოუკიდებლად მიდიან ურთიერთსასარგებლო გამოსავალთან, რომელიც ეფუძნება მედიატორის გამოცდილებას, ცოდნას და უნარებს. დავის გადაწყვეტა მთლიანად დაპირისპირებული მხარეების ნებაზეა დამოკიდებული.”¹

კანონმდებელი განრიდებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3-ე მუხლის მე-7-ე ქვეპუნქტის თანამხად განმარტავს შემდეგნაირად: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.” ასევე აღნიშნულ კოდექსში მე-3-ე მუხლის მე-9-ე ქვეპუნქტის შესაბამისად განმარტავს მედიაციას „ მედიაცია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის

¹ (მალიკაშვილი, 2013, გვ. 46(მალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.”

„საქართველოს სისხლის სამართალმა ნოვაცია შემოიტანა, რომელიც უკვე პრაქტიკაშიც აქტიურად დამკვიდრდა. ეს არის განრიდება–მედიაციის პროგრამა, რომელიც არასრულწლოვანს ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და რაც მთავარია, მის პირად საქმეში არ ფიქსირდება სასამართლოება. არასრულწლოვანის მიმართ ტარდება ისეთი ღონისძიებები რომელიც მიზნად ისახავს მის გამოსწორებას სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე.”¹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო საბჭოს მიერ განრიდებას განმარტებები დაყოფილია რამდენიმე სახედ: „პატიმრობიდან განრიდება - ღონისძიებები, რომლებიც არ მოიცავს თავისუფლების აღკვეთასა და შეიძლება მიესაჯოს ბავშვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ; სასამართლოსგან განრიდება - სასამართლო წარმოების ალტერნატივა, სისხლის სამართლის დარღვევაში ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან მსჯავრდებული ბავშვის წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიებები, რომლებიც არ მოიცავს სასამართლოსათვის მიმართვას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში სასამართლოსგან განრიდება წარმოადგენს სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებელს. ბავშვმა შეიძლება ისარგებლოს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებით და შეიძინოს სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივი შრომისა და მსხვერპლისათვის რეპარაციის განხორციელების გზით, ეს ხელს უწყობს დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენციას.” განრიდება ასევე მოხსენიებულია, როგორც „ ალტერნატივა, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის ჩარევის ნერბისმიერ ფორმას, რომელიც გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის, დაპატიმრებისა და დახურულ დაწესებულებაში მოთავსების თავიდან არიდებას.”²

¹ კავთუაშვილი, 2014. გვ. 3(კავთუაშვილი, ე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, დასჯის თუ აღზრდის სამართალი, ყურნალი სამართალი და მსოფლიო N4, თბილისი, 2016.)

² შაპოვიჩი, დოევი, ცერმატენი, 2012, გვ. 343(შაპოვიჩი;ნ;დოევი,ი;ცერმატენი, უ; ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში 2012)

§ 2. განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანი და მნიშვნელობა

„განრიდების არსი მდგომარეობს ფორმალური სახელმწიფო კონტროლის არაფორმალურ კონტროლზე „გადამისამართებაში“¹ „განრიდება არის აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი, პროცესი, სადაც ყველა მხარე, რომელსაც კავშირი აქვს კონკრეტულ დანაშაულთან, იკრიბება, რათა კოლექტიურად გადაწყვიტონ დანაშაულის შედეგი და მისი გავლენა მომავალზე.“² „განრიდება და მედიაცია სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები მიზნად ისახავს კონფლიქტის არასისხლისამართლებრივი გზით გადაწყვეტას. სწორედ ამ შინაარსის მატარებელია ტერმინი „დივერსიონ“ (გადახრა, აცილება), რაც აქტიურად გამოიყენება საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. აღნიშნული პრინციპი განიხილება როგორც ერთგვარი შერიგება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის.“³

ამავე დროს განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანია არასრულწლოვანს მიეცეს ერთი შანსი და მომავლის იმედი კანონმორჩილი ცხოვრებისკენ. „აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს პროკურორს, არ დაინყოს/შენწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე სისხლისამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში და ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე.“⁴

არასრულწლოვნის განრიდება და ასევე მედიაცია, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, როგორც ამას პროფ: შალიკაშვილი აღნიშნავს, ემსახურება იმ

¹ Eidenmüller 2004 გვ.57 , (Eidenmüller, H., Verhandlungsmangement durch Mediation, Mediation in der Anwaltspraxis, 2004)

² გვენეტაძე, ნ. კვაჭაძე, მ. წიკლაური-ლამიხი, ე, გაბუნია, მ, 2012, გვ. 93(გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ე; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012)

³ აქუბარდია, 2016, გვ. 60(აქუბარდია, ი. პროფ: 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული

გურამ ნაჭყებიას, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, თბილისი 2016,

⁴ გვენეტაძე, ნ. კვაჭაძე, წიკლაური-ლამიხი, გაბუნია, 2012, გვ. 121(გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ე; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012)

ამოცანას, რომ მოზარდს მისცეს გამოსწორების შანსი და თავიდან იქნას აცილებული ციხის პირობებში მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალი პროცესი.”¹

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. აქვე დავამატებთ, რომ პროგრამა ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

„განრიდების კონცეფცია ემყარება თეორიას, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრამ შეიძლება მეტი ზიანი მოიტანოს, ვიდრე სიკეთე. განრიდების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ის, რომ სასამართლო სისტემამ თავისდაუნებურად შეიძლება მოახდინოს კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ არასრულწლოვნების სტიგმატიზაცია, რომლებმაც ჩაიდინეს მსუბუქი დანაშაული.”² გარდა ამისა რაც შეეხება თვითონ ინსტიტუტს, დასაბუთებულად განმარტავს პროფ: თუმანიშვილი, რომ „განრიდების და მედიაციის ინსტიტუტი წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების ფორმას.”³

„განრიდება და მედიაცია საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობით წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ მექანიზმს. აღნიშნული პროგრამის არასრულწლოვანი ჩართოს იმ ზიანის ანაზღაურების პროცესში, რომელიც მისმა დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია. ასევე მოახდინოს მისი

¹ შალიკაშვილი, 2013, გვ.47(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

² (<https://mimomxilveli.wordpress.com/HYPERLINK>
<https://mimomxilveli.wordpress.com/გამოხმობილია>"გამოხმობილია" 11.01.20166)

³ თუმანიშვილი, 2014, გვ. 71(თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი თბილისი 2014.)

სოციალური რეაბილიტაცია და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.”¹

„რაც შეეხება უშუალოდ განრიდების და მედიაციის პროგრამის შემოღების აუცილებლობას, ქართული სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის ანაზღილი ნათლად გვიჩვენებდა, რომ არსებობდა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის შეცვლის გადაუდებელი საფუძველი. ვინაიდან აუცილებელ გარემოებას წარმოადგენდა დანერგილიყო განსხვავებით ტრადიციული მართლმსაჯულებისგან არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმები განრიდების და მედიაციის სახით.”

² აღნიშნულმა პროგრამამ შეცვალა სამართლებრივი დამოკიდებულება კანონთან არასრულწლოვნისადმი და მართლმსაჯულება მიმართა ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ. ასევე მისცა არასრულწლოვანს საშუალება მიუხედავად მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა ჰქონდეს ერთი შანსი და იმედი კანონმორჩილი ცხოვრებისკენ. „კრიმინოლოგიური და სოციალურ-პედაგოგიური ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ მედიაციისა და განრიდების ინსტიტუტის სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში განვითარების აუცილებლობაზე და ყურადღებას ამახვილებენ მის დადებით მხარეებზე.”³ „მედიაციის და განრიდების ინსტიტუტის, სასარგებლოდ აღინიშნება, რომ იგი: „ხელს უწყობს დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენს შორის ადამიანური ურთიერთობის აღდგენას, ეხმარება დაზარალებულს ემოციურ, მორალურ და მატერიალურ რესტიტუციაში, ხელს უწყობს დამნაშავის რესოციალიზაციას და მის პიროვნულ მომწიფებას, აუმჯობესებს დანაშაულის მსხვერპლის სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობებს, ხელს უწყობს „იუსტიციის აპარატის” განვითარებას, ხდის პროცესს უფრო ეკონომიურს და ამით აუმჯობესებს „იუსტიციის აპარატის” მუშაობას, დანაშაულის ჩამდენს თავიდან არიდებს ნასამართლობას და ამით სისხლის სამართალს ხდის კიდევ უფრო ლიბერალურსა და

¹ გვენეტაძე, კვაჭაძე, წიკლაური-ლამიხი, გაბუნია, 2012, გვ.120(გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ქ; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012)

² შალიკაშვილი, მ.2013, გვ. 56(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

³ აქუბარდია, 2016, გვ. 63 (აქუბარდია, ი. პროფ: 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული გურამ ნაჭყებიას, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, თბილისი 2016)

ჰუმანურს.”¹ „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. იგი უზრუნველყოფს მოზარდის აღზრდას. პირველად თავის ცხოვრებაში მოზარდს უხდება სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოების სხვა, მისთვის უცნობ წევრებთან ან ახლო ურთიერთობა. განრიდებისა და მედიაციის წარმატების შემთხვევაში იგი ხვდება, რომ მის მიერ ცადენილმა კანონდარღვევამ სხვა ადამიანს ავნო, მიაყენა მატერიალური ზარალი და გამოიწვია ფსიქოლოგიური პრობლემები. ასევე პროგრამის ფარგლებში კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდს უჩნდება საზოგადოებრივი პატივისცემის გრძნობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მისგან კანონმორჩილი პიროვნების ჩამოყალიბებას.”² განრიდების და მედიაციის პროგრამა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ჩართულობას და ასევე არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას. მედიაციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა. მედიაციაში ცენტრალურ როლს ასრულებს მედიატორი სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წარმართავს მთელ პროცესს. „ბავშვის განრიდება არ ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. უფრო მეტიც, ის საშუალებას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბავშვის ქცევის ძირითად მიზეზებთან დაპირისპირებისთვის შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განრიდების ზომებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ზრუნვა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის განკარგულებები, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, მინდობით აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და ზრუნვის ისეთი ფორმები, რომლებიც დანესებულებებში ზრუნვას შეიძლება შეენაცვლოს.”³ „ბავშვების მიერ დანაშაულებრივი საქციელის ჩადენა ზოგჯერ განიხილება როგორც ოჯახის დისფუნქციის სიმპტომი, რომელიც გამოწვეულია

¹ Kaspar .2004 გვ.,56 (Kaspar, J., Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Rechtliche Grundlagen und Ergebnisse eines Modellprojekts zur anwaltlichen Schlichtung, 2004)

² შალიკაშვილი, 2013, გვ. 165(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

³ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი(ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარები 2007)

ცუდი აღზრდით, რთული ოჯახური პირობებით ან ოჯახური ურთიერთობების მოშლით. ოჯახზე ორიენტირებული განრიდების პროგრამები, ძირითადად, გულისხმობს მუშაობას ბავშვთან და მის ოჯახთან, იმის გასაგებად, თუ რატომ ჩაიდინა ბავშვმა დანაშაულებრივი ქმედება და როგორ უნდა მოხდეს ბავშვის საჭიროებების მართვა შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად. ამ მიდგომაში არ არსებობს დასჯის ცნება, არც ზიანის ანაზღაურების ფუნქცია. უფრო მეტიც, ეს მიდგომა იყენებს ინტენსიურ სოციალურ მუშაობას, ოჯახური ჯგუფის კონფერენციებს და ინდივიდუალურ მუშაობას ბავშვებთან ოჯახში, სკოლაში და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციისა და ბავშვის თვითშეფასების ამაღლების მიზნით. იგი მოიცავს გამოსასწორებელ განათლებას და, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობას.”¹ აღნიშნული გულისხმობს ბავშვების ჩართვას სხვადასხვა საქმიანობაში, რათა მათ გაუჩნდეთ ქუჩაში ყოფნის ალტერნატივა და მიეცეთ საშუალება, დაეუფლონ ახალ უნარებს და დაკავდნენ ახალი ინტერესებით. აღნიშნული პროგრამები შეიძლება მრავალმხრივი იყოს და გამომდინარეობდეს უშუალოდ ბავშვის საჭიროებებიდან და კონკრეტული კულტურიდან. აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებულია უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვნების მიმართ, რადგან მათ რეაბილიტაციასა და სოციალურ რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისი მთავარი მიზანია არასრულწლოვანს მისცეს ერთი შანსი და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

§ 3. განრიდების და მედიაციის პრინციპების არსი

„პრინციპი, გამომდინარეობს პოზიტიური სამართლიდან ანუ იურიდიული ტრადიციიდან. პრინციპი არ არის თვითმიზანი, არამედ ის მიზნის მიღწევის საშუალებაა.”² „პრინციპი არ

¹ ჰამილტონი, 2011, გვ. 68 (ჰამილტონი, ქ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

² ხუბუა, 2004, გვ. 34 (ხუბუა, გ. სამართლის თეორია, თბილისი 2004)

არის ისე კონკრეტულად ფორმულირებული, რომ დაყრდნობით შევძლოთ რაიმე საკითხის გადანყვეტა.”¹ იურიდიულ ლიტერატურაში განასვავებენ სამართლის დანერგვას და დაუნერგვას პრინციპებს, რომლებიც პირდაპირმმართველობაშია სამართლის ერთიან სისტემასთან. ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის ნაწილია განრიდების და მედიაციის პრინციპები. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განამტკიცებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გადანყვეტილების მიღებისას ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობის პრინციპს. აღიარებული საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, მათ შორის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმით, მათ შორის დაკავება და დაპატიმრება, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა მაქსიმალურად მცირე პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ალტერნატიული, უფრო მსუბუქი საშუალებების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი, კონკრეტულად კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევას.”

² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კერძოდ კი განრიდების და მედიაციის პრინციპები პირდაპირმმართველობაშია კონსტიტუციურ პრინციპებთან. „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები განაპირობებენ მთლიანად კონსტიტუციის შინაარსს, იმავდროულად, განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების ძირითად მიმართულებებს. კონკრეტული დავების გადანყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, როგორც კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, ისე სადავო ნორმა გააანალიზოს და შეაფასოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების კონტექსტში, რათა ეს ნორმები, განმარტების შედეგად, არ დაცვილდნენ მთლიანად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს. მხოლოდ ასე მიიღწევა კონსტიტუციის ნორმის სრული განმარტება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული სადავო ნორმის კონსტიტუციურობის სწორ შეფასებას. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციურ პრინციპებს შორის. ისინი პრაქტიკულად

¹ Arnaud, A 1993, გვ. 182 (Arnaud, A.-J., Dictionnaire encyclopédique de théorie et de sociologie du droit, 1993)

² Jung, H., 1998 გვ. 43 (Jung, H., Mediation: Paradigmawechsel in der Konfliktregelung? Festschrift für Hans Joachim Schneider zum 70. Geburtstag am 14)

ყველა კონსტიტუციური ნორმის, მათ შორის დანარჩენი კონსტიტუციური პრინციპების საფუძველს წარმოადგენენ. ამ პრინციპებს ეყრდნობა მთლიანად კონსტიტუციური წყობა. ამასთან, ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას, შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე. ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. მხოლოდ ასე იქმნება სამართლიანი მართლწესრიგი, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. ზოგადად, ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ყოველი ადამიანის პიროვნული თავისუფლების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, რაც, პირველ რიგში, მოითხოვს სახელმწიფოს სიფრთხილეს და ზომიერებას უფლებაში ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენისას. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველყოფელი ნორმა-პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელისუფლების ადამიანთან ურთიერთობის შინაარსს.”(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის N4/407 გადაწყვეტილება) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მოიცავს იმას, რომ სასჯელის მიზანი იყოს არა მისი დასჯა, არამედ გამოსწორება. მთავარი მიზანია, რომ არასრულწლოვანი მაქსიმალურად იყოს არიდებული პენიტენციურ დაწესებულებას. რაც შეეხება უშუალოდ განრიდების და მედიაციის პრინციპებს ეს უკანასკნელი იურიდიულ ლიტერატურაში იმპერატიულად არ არის განერილი, თუმცა აღნიშნულია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანებაში განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასათვორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე, რომ გაქვს ნებაყოფლობითობის, პროპორციულობის, სტიგმატიზაციის თავიდან აცილების, კონფიდენციალობის და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის პრინციპები. განვიხილოთ თითოეული

პრინციპის არსი, მიზანი და ფარგლები ინდივიდუალურად და ამ კუთხით განვსაზღვრავთ ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას განრიდების და მედიაციის პროგრამასთან მიმართებაში.

3.1. ნებაყოფლობითობის პრინციპი

ნებაყოფლობითობის პრინციპთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანებაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა. თუ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა პირველად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისაგან მის განრიდებას. „განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მხარეები უფლებამოსილი არიან ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.“

¹ „განრიდებისა და ან მედიაციის პროცესში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა ფართოდ უნდა იქნას განხილული. იგი პირველ რიგში გულისხმობს მხარეების სურვილს, მონაწილეობა მიიღონ მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებაში და ნებისმიერ დროს ჰქონდეთ შესაძლებლობა უარი თქვან ამ პროცესში მონაწილეობაზე. მედიატორი ვალდებულია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება განრიდებისა და ან მედიაციის პროცესში მხარეების მონაწილეობა მათ თავისუფალ ნებას ანუ, რამდენად არის მათი ქმედება ნებაყოფლობითი.“ ² ნებაყოფლობითობა მნიშვნელოვანი პრინციპია, ვინაიდან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ხელს უწყობს მოზარდს არჩევანი გააკეთოს, მას შეუძლია უარი თქვას პროგრამაში მონაწილეობაზე და მისი საქმე გადაეცეს

¹ შალიკაშვილი, 2013, გვ. 32(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

² Haft, 2009, გვ. 284 (Haft, F., Verhandlung und Mediation, 2009)

სასამართლოს, სადაც მას ექნება შესაძლებლობა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს, ნებაყოფლობითი არჩევანის გაკეთება ნიშნავს მოზარდის მიერ მონიჭებული ნაბიჯის გადადგმას. „იურიდიულ ლიტერატურაში ნებაყოფლობითობასთან ერთად დამკვიდრებულია ფაქტიური არანებაყოფლობითობის ცნება. ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზეა, როდესაც განრიდებისა და ან მედიაციის პროცესში მონაწილე ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია მოლაპარაკების დროს პირობები წაუყენოს მეორე მხარეს.“¹ არ შეიძლება დამნაშავე მოზარდს დააძალო, მონაწილეობა მიიღოს განრიდების და/ან მედიაციის პროცესში, ვინაიდან პროცესი ამით ველარ მიაღწევს თავის ძირითად მიზანს დამნაშავემ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ უკანონო საქციელზე. დამნაშავის იძულებითი მონაწილეობით ვერ მივიღებთ საჭირო ეფექტს მისი პიროვნების შესაცვლელად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცესში დამნაშავის მონაწილეობის მიზანი იყოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის თავიდან აცილება. მიუხედავად ამ გარემოებისა, დამნაშავეს და დაზარალებულს უნდა ესმოდეთ, რომ დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან მათი პრობლემის მოგვარების და მომავალი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა.“¹ ნებაყოფლობითობა განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადანყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. მხარეები უფლებამოსილი არიან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვან ნებისმიერ ეტაპზე. მაშასადამე, ხსენებული პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ ნებელობის პრინციპის ქმედით ხასიათზეა დამოკიდებული.

3.2. პროპორციულობის პრინციპი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.

¹ შალიკაშვილი, 2013, გვ. 33(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას საჭიროა არასრულწლოვნის ასაკისა და სხვა მახასიათებლების, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნების, სიმძიმის, მიყენებული ზიანისა და საზოგადოებაზე გავლენის გათვალისწინება. იმისათვის, რომ გასაგები გახდეს პროპორციულობის მნიშვნელობა განრიდების და მედიაციის პროცესში საჭიროა, განვიხილოთ პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის გამოყენების საფუძვლები. „პროპორციულობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს, რომ „1) ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, 2) ჩარევა უნდა იყოს ეფექტიანი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი, 3) ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით ზომიერი საშუალება, რომელიც ისეთივე ეფექტიანი იქნებოდა მიზნის მისაღწევად, 4) ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (თანაფარდობის ვიწრო გაგება) ჩარევის შესაბამისობის დადგენისას წარმოებს ჩარევის შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება.“¹ აქვე დავამატებთ, რომ ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მართლწესრიგი მოიცავს თანაზომიერების პრინციპს. მას, როგორც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს, პირველადი სამართლის ხარისხი აქვს და აღიარებულია გაერთიანების სამართლებრივი ღონისძიებების შემზღუდველ ყოვლისმომცველ პრინციპად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებელია თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის

¹ დემეტრაშვილი, კობახიძე, 2011, გვ. 92. (დემეტრაშვილი, ა. კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, 2011)

თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას.“¹ „საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: დ.ჯ.,ტ.გ.და ნ.დ, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლომ ნორმის კონსტიტუციურობა შეათვასა თანაზომიერების პრინციპის ყველა კომპონენტის მიხედვით. უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნისა და მისი დაცვის აუცილებლობის საკითხის დადგენის, ასევე ამ მიზნის, მისაღწევად უფლების შემზღვეველი კონკრეტული ღონისძიების დასაშვებობისა და აუცილებლობის შეფასების შემდეგ საჭირო გახდა სადავო ნორმის პროპორციულობის შეფასება. „თანაზომიერების შეფასებისას გადამწყვეტია მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულობის საკითხის გარკვევა. ეს უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არცერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორის არაპროპორციულად შემზღვევის ხარჯზე.“² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილების თანახმად, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილების თანახმად, „სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი. ღირსება ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველში დევს ღირსების იდეა, ხოლო სამართლებრივი დაცვის პრინციპის, როგორც პიროვნების სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალების, საფუძველი არის პიროვნების ღირსების უზრუნველყოფის პრინციპი. ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად,

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება.

² ერემაძე, 2013, გვ.122(ერემაძე, ქ. ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში თბილისი, 2013)

ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას“.

„თანაზომიერების ანუ პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა: შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციით გათვალისწინებული და დასაცავი ინტერესების (ლევტიმური მიზნების) გრადაცია მათი სერიოზულობისა თუ მეტი მნიშვნელოვნების მოტივით, რაც მათი დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს და გულისხმობს მათ დასაცავად ამა თუ იმ უფლებაში უფრო ინტენსიური ჩარევის თავისთავად გამართლებას? ან/და შესაძლებელია ესა თუ ის უფლება (არ იგულისხმება აბსოლუტური უფლებები (უფლებრივი კომპონენტები), რომელთა შეზღუდვა კონსტიტუციით აკრძალულია) თავისთავად და უპირობოდ პრიორიტეტით სარგებლობდეს სხვა უფლებებთან ან საჯარო ინტერესებთან მიმართებით?“¹ საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს განრიდების და/ან მედიაციის პირობები თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს, უნდა გაირკვეს განრიდებისა და მედიაციის თითოეული საქმის განხილვა-გაანალიზებით. ერთი რამ უდავოა, სახელმწიფოს უფლება არა აქვს მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ნებისმიერი სახის ღონისძიება და, რომ განრიდების და/ან მედიაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ასეთი ღონისძიება არ უნდა იყოს მოზარდის პატივისა და ღირსების შემლახავი.“² აღსანიშნავია, რომ „მოპყრობა მსხვერპლში (მოზარდში) აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტებს მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას; მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც. დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი უნდა დადგინდეს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით და არა სავარაუდო მსხვერპლის სუბიექტური შეგრძნებებისა და განცდების ანალიზის საფუძველზე. პატივისა და ღირსების ხელმყოფი კანონი უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც იქნებოდა იმდენად მკაცრი, ამორალური და უსამართლო, რომ ისინი ობიექტური თვალსაზრისით მოახდენდნენ: პიროვნების მიერ თვალში

¹ ერემაძე, ქ. 2013, გვ.122(ერემაძე, ქ. ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში თბილისი, 2013)

² შალიკაშვილი, 2013, გვ. 35(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

საკუთარი მორალური თვისებების შეფასების (ღირსების) ან საზოგადოების მხრიდან პიროვნების შეფასებითი დამოკიდებულების (პატივის) დაკნინებას. პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ დაცვას აქვს შემდეგი მიმართულებები: ადამიანის სხეულის მთლიანობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა; ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა; ადამიანის, როგორც ინდივიდის პიროვნულობის დაცვა.¹ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პროპორციულობის პრინციპის დაცვა აუცილებელია, რათა მოზარდს არ დარჩეს უსამართლობის განცდა და უარყოფითი დამოკიდებულება არ გაუჩნდეს სამართალდამცავი სტრუქტურების და ზოგადად სახელმწიფო ორგანოებისადმი. სახელმწიფო ორგანოებისადმი მოზარდის უარყოფითი ან ნიჰილისტური დამოკიდებულება მას უბიძგებს, რომ დამნაშავედ ან ქვეყნის პასიურ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.

3.3. კონფიდენციალობის პრინციპი

კონფიდენციალობის პრინციპი „განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.“² კონფიდენციალობა მნიშვნელოვანი პრინციპია, ვინაიდან ნებისმიერ საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოში, არსებობს სტიგმა ნასამართლევ ადამიანების მიმართ, რაც ხელს უშლის ყოფილ პატიმრებს, პრობაციონერებს საზოგადოებაში რეინტეგრაციაში, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა კი საშუალებას იძლევა მოზარდის ბიოგრაფიაში არსად არ იყოს დაფიქსირებული მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი. განრიდების და/ან მედიაციის პროცესში დამნაშავე და დაზარალებული პირის შესახებ მხარეების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, პირველ რიგში, ემსახურება საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას. ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება.

² <http://ganrideba.ge/res/files/803> გამოხმობილია 20.02.2017

ცნობილია სახელწოდებით - „ღემბახში ჯარისკაცების მკვლელობა“. „1969 წელს გერმანიის ერთ-ერთ სოფელში დისლოცირებული საჯარო ნაწილის ოთხი ჯარისკაცი მოკლა სამმა ახალგაზრდამ. დამნაშავე ახალგაზრდები იყვნენ ჰომოსექსუალები. მკვლელების მიზანი იყო საჯარისო ნაწილიდან იარაღისა და ტყვია-წამლის გატაცება, შემდგომში დანაშაულების ჩადენის მიზნით. მათ სურდათ, დანაშაულებრივი გზით საკმარისი ფული დაეგროვებინათ და უზრუნველად ეცხოვრათ სამხრეთის რომელიმე ზღვისპირა ქალაქში. 1973 წელს მკვლელობის ერთი თანამონაწილე ციხიდან ვადამდე თავისუფლდებოდა პირობით და გერმანიის ერთ-ერთმა დიდმა ტელეკომპანიამ განიზრახა „ღემბახში ჯარისკაცების მკვლელობის“ საქმეზე დოკუმენტური ფილმის ჩვენება. დოკუმენტური ფილმი ორსაათნახევარი გრძელდებოდა და მაყურებელს უამბობდა: „დანაშაულის წინასტორიას, ჩადენის დეტალებს, გამოძიების მოქმედებას, დამნაშავეთა დაკავებისა და გასამართლების ფაქტებს. ფილმში მოცემული იყო სამივე დამნაშავის ფოტოსურათი მათი ნამდვილი სახელების მითითებით.“¹ „მსჯავრდებულთა ადვოკატმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ფილმის ჩვენებაზე უარი ეთქვა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულების შესახებ მათი პიროვნული ინფორმაციის გახმაურება ხელს შეუშლიდა მათ რესოციალიზაციას და საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ფილმის ჩვენება.“² „ბავშვის სტიგმატიზაციისა და მის შემდგომ განვითარებაზე, სწავლასა თუ პროფესიულ მომავალზე უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით, დაცული უნდა იყოს მისი კონფიდენციალურობა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე, სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან, სასამართლოს და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მიერ არასრულწლოვანთან მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება უნდა არსებობდეს მართლმსაჯულების

¹ კუბლაშვილი, 2003, გვ.121(კუბლაშვილი, ვ. ძირითადი უფლებები. თბილისი 2014)

² შალიკაშვილი, 2013, გვ. 40(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

პროცესში ჩართული ნებისმიერი პროფესიონალისთვის (მათ შორის პროკურორი, მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი და სხვ.)”¹

3.5. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი

„არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ნოვაციას წარმოადგენს ქართულის ხლისა მართალ ში. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს მიიღო საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. აღნიშნული კოდექსის მიღებამდე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელ ნორმებს განსაზღვრავს და საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონმდებლობა. მართალია, კანონმდებლობა აღიარებდა არასრულწლოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობას და ადგენს სრულწლოვნებისგან განსხვავებულ რეჟიმს.” არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია, მისი გამოყენება ძირითადად 1800-იანი წლებიდან დაიწყო ბავშვის მეურვეობის საკითხების გადასაწყვეტად. კერძოდ ბავშვის კეთილდღეობა ან საუკეთესო ინტერესები წარმადგენდა ძირითადად საყრდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.”² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი არის ამჟამად პირველი პრინციპი და შესაბამისად, სხვა ყველა პრინციპზე და საკითხზე მაღლამდგომი და განმსაზღვრელი. „არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის ან ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ცნება ორ საკითხს აერთიანებს: კონტროლს და გამოსავლის ძიებას. კონტროლის კრიტერიუმი გულისხმობს ბავშვის

¹ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1990), მუხლი 40-ე(ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარები 2007)

² Mühlfeld, S. 2002 გვ.44 (Mühlfeld, S., Mediation im Strafrecht - Unter besonderer Berücksichtigung von Gewalt in Schule und Strafvollzug, 2002)

უფლებებისა და მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფას. ხოლო გამოსავლის ძიების კრიტერიუმში გადანყვეტილების მიღების დროს ყველა შესაძლო გამოსავალი იქნეს მოძიებული და შეფასებული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერესს განეკუთვნება.”¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვნის ჯეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება აუცილებელია პროგრამის ყველა ეტაპზე. პროკურორის გადანყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის ინტერესს. აქ უნდა შეფასდეს, რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვას, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა.შ. პროგრამის ფარგლებში, სოციალური მუშაკის მიერ მოზარდის ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე იგი (სოციალური მუშაკი) პროკურორთან ერთად ადგენს პასუხისმგებლობის ზომებს კონკრეტული მოზარდის ინდივიდუალური, პრობლემური და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, აქცენტი კეთდება სწორედ არასრულწლოვნის პოზიტიურ, დადებით მხარეებზე, მათ გაძლიერებაზე. „იმისათვის, რომ გავარკვიოთ, შეძლებს თუ არა პროკურორი თავისი გადანყვეტილებით მოზარდის ჯეშმარიტი ინტერესის დაცვას, უნდა ვიცოდეთ იურისტების ან კონკრეტულად პროკურორების საქმიანობის სოციოლოგია.”² „გასული საუკუნის 60-იან წლებში, გერმანიაში, ვოლფგანგ კაუპენის მიერ ჩატარდა 30 მოსამართლის და ამდენივე პროკურორისა და ადვოკატის გამოკითხვა, მათი განათლების, მიზნების, რელიგიურობის, მორალური დამოკიდებულების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების შესახებ. კაუპენი მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა იუსტიციის კონსერვატიზმს.”³ „მისი შეფასებით, გამოკითხულ იურისტებს ჰქონდათ კონსერვატორული, ავტორიტარული, არადემოკრატიული და ანტილიბერალური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. მეცნიერთა შეხედულებით იურისტები „ავტორიტარული პიროვნებები“ არიან. ავტორიტარიზმი არის ცნება სოციალ-

¹ Schüler-Springorum 1988 გვ.11 (Schüler-Springorum, H., Die Resozialisierung des normalen erwachsenen Straftäters. Festschrift für Maihofer, 1988)

² შალიკაშვილი, 2013, გვ. 41 (შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

³ Kaspar, J. 1969, გვ. 220 (Kaspar, J., Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Rechtliche Grundlagen und Ergebnisse eines Modellprojekts zur anwaltlichen Schlichtung, 2004)

ფსიქოლოგიიდან და ცხოვრებისადმი ისეთ დამოკიდებულებას გულისხმობს, რაც ორიენტირებულია მყარ კონფორმულ ქცევაზე, ძლიერების ქვეშევრდომობაზე და სუსტების დამორჩილებაზე, საკუთარი გრძნობების კონტროლზე, არატოლერანტულობაზე, იურისტების პროფესიულ სოციალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესოა გასული საუკუნის 70-იან წლებში ლანგეს და ლუჰმანის მიერ ჩატარებული კვლევა. მკვლევრებმა გამოკითხეს სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები და საჯარო მოხელეები (იურისტები და არაიურისტები). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ძირითადად მაღალი და საშუალო წრის ზედა ფენებიდან იყვნენ. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ ინტეგრირებული მეგობრების და ნაცნობების წრეში, ვიდრე სხვა ფაკულტეტის სტუდენტები. ეს ხელს უწყობდა მათ პროფესიულ წარმატებას.”¹

„იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც სურდათ სახელმწიფო სამსახურში (მოსამართლე, პროკურორი და სხვა) მუშაობა, გამოირჩეოდნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მაღალი გრძნობით. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ეს კატეგორია ორიენტირებული იყო მყარ შემოსავალზე, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე. ისინი არ იყვნენ დამოუკიდებელი, არ ჰქონდათ საქმიანობისადმი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და არ გამოირჩეოდნენ რისკზე წასვლის მზადყოფნით. ხოლო, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთაც სურდათ, დამოუკიდებელი ადვოკატები გამხდარიყვნენ, ჰქონდათ წინა ჯგუფის საპირისპირო ჩვევები და ღირებულებებისადმი ორიენტაცია (მეტი დამოუკიდებლობა, საკუთარი საქმიანობისადმი მეტი პასუხისმგებლობა, რისკზე წასვლის მზადყოფნა და ა.შ.)”²

„ლანგე და ლუჰმანი მივიდნენ დასკვნამდე, რომ კონსერვატორულ-ავტორიტარული პიროვნული თვისებები უფრო მეტად ახასიათებთ იმ იურისტებს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში მსახურობენ (პროკურორები, მოსამართლეები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული იურისტები). სამართლის სოციოლოგიის

¹ Ostendorf, H, 2000, გვ.113(Ostendorf, H., Wieviel Strafe braucht die Gesellschaft? 2000)

² შალიკაშვილი, 2013, გვ. 43(შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)

მიხედვით, მოსამართლეთა გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები (მოდელი მატერიალური ფაქტორი მატერიალური ფაქტორის მიხედვით, მოსამართლის გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ბრალდებული პირი; სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორი სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მისი პიროვნული დამოკიდებულება ღირებულებებისა და სოციალური ფენებისადმი, მისი უარყოფითი განწყობა რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისადმი მოსამართლე, როგორც მაღალი ფენის წარმომადგენელი ისე უყურებს დამნაშავეს, რომელიც უმეტეს წილად დაბალი ფენის წარმომადგენელია, სხვა რელიგიის ან ეროვნების ადამიანს, როგორც მისი საზოგადოებისათვის უცხო; ფსიქონალიტიკური ფაქტორი – ფსიქონალიტიკური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მოსამართლის არაცნობიერში არსებული უსიამოვნო მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსულში მოსამართლის მიერ გადატანილი ისეთი ტრავმის (ახლობელი ადამიანის დაკარგვა, მასზე განხორციელებული ძალადობა და ა.შ.) შედეგად, რომელიც არ იქნა ფსიქოლოგიურად დამუშავებული. ფსიქონალიტიკური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს ასევე სურვილის დათრგუნვა საკუთარ თავში; როლების გადანაწილების თეორიული ფაქტორი ამ ფაქტორის საფუძველზე, მოსამართლის გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მისი კოლეგების ან „ზემდგომის“ შეხედულებები და მოლოდინი; ბიუროკრატიული ფაქტორი ბიუროკრატიული ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადანწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს კოლეგებისადმი კონკურენტული დამოკიდებულება (მაგ: ერთი წლის განმავლობაში განხილული ან განუხილველი საქმეების რაოდენობა); პიროვნული და პირისპირებები კოლეგებთან; „ზემდგომისათვის“ არასასურველ კოლეგათა სიაში ყოფნა და ა.შ.”¹, „ზოგადად, პროკურორების მიერ კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების შესახებ უნდა ითქვას, რომ როგორც გერმანიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინეს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების

¹ Weitekamp, E. , 2001. გვ.45(Weitekamp, E. G. M., Mediation in Europe: Paradoxes and Promises. Restorative Justice For Juveniles: Conferencing, Mediation, and Circles, 2001)

განხორციელების ან ბრალდებულის რესოციალიზაციის პრინციპი, მათ (პროკურორების) საქმიანობაზე გავლენას ვერ ახდენს. პროკურორები კანონით დადგენილ ნორმებზე და პროკურატურის ბიუროკრატიულ პირობებზე (სიტყვიერი მითითებები, ზემდგომი პროკურორის მოსაზრება და ა.შ.) არიან ორიენტირებული, ვიდრე (არასრულწლოვანი) ბრალდებულის მიმართ ინდივიდუალურ, სპეციალურ პრევენციულ მიდგომაზე.” „პროკურორები გადანყვეტილების მიღების დროს დიდ ყურადღებას აქცევენ საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ქმედების მძიმე ხასიათს, ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას, ზარალის ოდენობას და ყურადღების მიღმა რჩებათ ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები ან ჩადენილი ქმედების მოტივი, რაც შესაძლებელს გახდიდა მიღებული ყოფილიყო გადანყვეტილება, რომელიც მორგებული იქნებოდა ბრალდებულის რესოციალიზაციაზე (არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი).” აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის ცნება მოქმედებს უშუალოდ თითოეული არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც მართლმსაჯულების პროცესში იქნება ჩართული. ამგვარი მიდგომა მისასაღმებელია, რათა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სისტემა აღიარებს არასრულწლოვანს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას ამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით, საიდანაც გამომდინარეობს, რომ საუკეთესო ინტერესების ინსტიტუტი მოითხოვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მიერ დამსჯელობითი ღონისძიებების გამოყენების ნაცვლად, ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების რეინტეგრაციას. „საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველეს გათვალისწინებაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომებისათვის უპირატესობის მინიჭებაში, არასრულწლოვნის მიმართ გადანყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ ფართო უფლებამოსილების განხორციელებაში, სასამართლო პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობისას მისი უფლებების დაცვის, მშობლების და სხვა ახლო ნათესავების მონაწილეობის და პატიმრობის გაუმჯობესებული

პირობების უზრუნველყოფაში. კოდექსი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აცალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.” „ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნით, “ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმხორციელებელი სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას საუკეთესო ინტერესების დაცვის ცნება მოქმედებს ბავშვების, როგორც ჯგუფის, ასევე უშუალოდ თითოეული ბავშვის მიმართ, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში აღმოჩნდება ჩართული ბავშვის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ ბავშვების, როგორც ჯგუფის, ინტერესების განხილვისას, ბავშვის უფლებათა კონვენცია და “სტანდარტები და ნორმები” ერთად: “მოგვიწოდებენ, დავამკვიდროთ ბავშვზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც აღიარებს ბავშვს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას გაამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა ბავშვის საუკეთესო ინტერესით“. (ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 10) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტის (2003) მეორე ნაწილი აცხადებს: “არასრულწლოვანთა ჭეშმარიტ ინტერესებში იგულისხმება (ა) უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება ნებისმიერი საკითხისათვის, რომელიც ეხება არასრულწლოვანს, და (ბ) არასრულწლოვანთა სასამართლოს, დაწესებულების ან სხვა ორგანოს მიერ იმ საკითხების უპირველესი განხილვა, რომლებიც ეხება არასრულწლოვანებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ 2006 წლის კანონის მე-4 (ბ) ნაწილის თანახმად: “ ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იგულისხმება იმ გარემოებათა და პირობათა ერთიანობა, რომლებიც ყველაზე შესაფერისია ბავშვის გადარჩენის, დაცვის და უსაფრთხოების გრძნობის გაღვივებისათვის და ყველაზე მეტად

უნყოფს ხელს ბავშვის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ განვითარებას.”¹ ეს ასევე ნიშნავს ყველაზე ნაკლებად საზიანო შესაძლებელი ალტერნატივის გამოყენებას ბავშვის ზრდის და განვითარების უზრუნველსაყოფად აქედან გამომდინარე, “საუკეთესო ინტერესების” ტესტი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ისეთ ნაწილებს და მუხლებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება აღნიშნული, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი თითოეულ ბავშვთან მიმართებაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ვრცელდება. „ბავშვისთვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ, სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორცაა რეპრესია/დასჯა რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც აუცილებელია განხორციელდეს, საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით.” „ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას სამართალდამცავ ორგანოსთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასჯელის მისჯისა და სასჯელის შემდგომი მომსახურების, განსაკუთრებით კი თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებზე შემდგომი ზრუნვის ჩათვლით. ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე, და სხვა შესაბამისი საკითხები. რეკომენდებულია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა მოუსმინოს ბავშვის პოზიციას, რაც იქნება საფუძველი ყველაზე საუკეთესო ინტერესის დასადგენად. ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს ძირითადი საკითხი გადაწყვეტილების

¹ ჰამილტონი, 2011, გვ. 34 (ჰამილტონი, ქართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011)

მიღების პროცესში.”¹ ფაქტია, რომ არასრულწლოვნები სრულწლოვანებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები პერ სე ადასტურებს მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვანებისგან განსხვავებულ მიდგომას.² ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა, რაც საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება პეკინის წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.”³ დაბოლოს, გვინდა შევხებით უშუალოდ იმ შემთხვევებს რა დროსაც ნაწილობრივ ხორციელდება აღნიშნული პრინციპის დაცვა, 1) „ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის

¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაკარგული კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“, 2008, გვ. 40

² <http://www.justice.gov.ge/News/De> გამოხმობილია 12.11.2016

³ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 10.

ჩანაწერი აშკარად ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის ზოგად დებულებას. ამ ნორმის მიხედვით, მშობელი რომელიც თბილისის გლდანის დასახლებაში ცხოვრობს და საგამოძიებო ორგანო სთხოვს არასრულწლოვანი შვილის დაკითხვაზე დასწრებას ვარკეთილის ტერიტორიაზე, იგი ვერაფრით ვერ შეძლებს ერთ საათში იქ გამოცხადებას და ავტომატურად შეუძლია საგამოძიებო ორგანოს არასრულწლოვანის საპროცესო წარმომადგენლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელს დაუძახოს დაკითხვაზე, იმის მიუხედავად იცნობს თუ არა იგი (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი) მოზარდს. სიტუაცია უფრო რთულადაა, თუ არასრულწლოვანი რაიონიდანაა და თბილისში ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაშიც შეუძლებელია მშობლის ერთ საათში თბილისში ჩამოსვლა. იმისათვის, რომ არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესი არ დაირღვეს საჭიროა მშობელს მიეცეს გონივრული ვადა კანონთან კონფლიქტში მყოფი შვილის დაკითხვას დაესწროს.”

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების მიზნით აუცილებელია მოსამართლეს, რომელიც პასუხისმგებელია განაჩენი დაათუძნოს „ერთმანეთთან შეთანხმებულ საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას, მიეცეს უფლება მხარეების შეთანხმების გარეშე დასვას კითხვები ამკ მე-8-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გამოარკვიოს ჩადენილი ქმედების გამომწვევი მიზეზები, რათა სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრის დროს იხელმძღვანელოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესიდან, არასრულწლოვანს მიუსაჯოს სასჯელის ის სახე და ის ზომა, რომელიც ინდივიდუალურად მის აღზრდას, რესოციალიზაციას გამოიწვევს.”¹ აქვე იურიდიულ ლიტერატურაში დაამატებით აღინიშნება, რომ „შესაძლებელია ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პირდაპირ ჩაინეროს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტ ინტერესს უპირატესი ძალა აქვს შეჯიბრებითობის

¹ ტურავა, 2014. გვ. 94(ტურავა,მ.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის, თბილისი 2014)

პრინციპზე.”¹ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესი შეუთავსებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან. „საპროცესო შეთანხმების გაუმჭვირვალე ქართული მოდელი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულისათვის სარგებლის მოტანას, საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების გზით.”² „საპროცესო შეთანხმების დღეს არსებული მოდელი კარგი საშუალებაა, „ნოყიერი ნიადაგია იმისთვის, რომ ბრალდებულზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელდეს ზენოლა. თავისუფლების აღკვეთის მაქსიმუმსა და მინიმუმ შორის არსებული დიდი ზღვარი და პროკურორის უფლებამოსილება თავად შესთავაზოს სასჯელის ნებისმიერი ზომა ბრალდებულს, აძლევს მას იმის შესაძლებლობას, იმოქმედოს ბრალდებულზე და მიიღოს მისგან აღიარებითი ჩვენება, ითანამშრომლოს მასთან.” რაც შეეხება ხსენებული პრინციპის ქმედითობას საპროცესო შეთანხმების ფარგლებში, იურიდიულ ლიტერატურაში აღწერილია, რომ „საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტით ხდება არასრულწლოვანთან კანონიერ წარმომადგენელთან სასჯელზე „ვაჭრობის მცდელობა, რაც ეწინააღმდეგება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ინტერესს, მის აღზრდას. საპროცესო შეთანხმების დროს მოზარდთან საუბარი იმაზე კი არ მიდის რა სურს მას, არამედ რა უნდა გააკეთოს მან, რომ მას საპროცესო გარიგება გაუფორმდეს. შესაბამისად, ეს არ შეიძლება იყოს არასრულწლოვანის ინტერესში და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ უნდა იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს არ არის მისაღები, რადგან სწრაფი მართლმსაჯულების პირობებშიც კი მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესი უნდა იქნეს გათვალისწინებული. საპროცესო შეთანხმების ნაცვლად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სწრაფი და ეფექტური აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტები: განრიდება, განრიდება და მედიაცია ან ამკ-ით

¹ შალიკაშვილი, მიქანაძე, 2016, გვ.78 (შალიკაშვილი, მ; მიქანაძე, გ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სახელმძღვანელო თბილისი 2016)

² გვენეტაძე, ნ, 2012. გვ. 236(გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ქ; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012)

გათვალისწინებული ალტერნატიული სასჯელები.”¹ აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე, თოთოეული პრინციპის დაცვა პირდაპირმმართვებაში არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებთან და თავისუფლებებთან, რომელთა დაუცველობის შემთხვევაც ნათლად არის გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებული: „ადამიანის ღირსების დაცვა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის უფლებას, არ გახდეს დანაშაულის ბრძოლის ობიექტი მისი კონსტიტუციურად დაცული სოციალური ადგილისა და პატივისცემის მოთხოვნის უფლებათა დარღვევით.”² გარდა აღნიშნულისა ასევე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ხსენებული პრინციპის მნიშვნელობაზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, „ამრიგად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მთავარი ამოსავალი დებულებაა.”³ სისხლის სამართლის სხვა აღიარებულ პრინციპებთან შედარებით და უფრო ემთხვევა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვა პრინციპებთან შედარებითაც კი, უპირატესობა ენიჭება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრინციპს. შესაბამისად სხვა პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.”⁴ ასევე ხსენებულ პრინციპთან დაკავშირებით კატეგორიულად აღნიშნავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის განაჩენში მოსამართლე იმავე საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებით, რომ „ არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშნისას მოსამართლე, პირველ რიგში ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. მოსამართლემ მშრალად არ უნდა მიუთითოს კონკრეტული მუხლი და

¹ შალიკაშვილი, მიქანაძე, 2016, გვ.79(შალიკაშვილი, მ; მიქანაძე, გ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სახელმძღვანელო თბილისი 2016)

² გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, გვ.16(შვაბრე, ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები თბილისი 2011)

³ ივანიძე, თოდუა, ვარძელაშვილი, მახარობლიძე, 2017, გვ.39(ივანიძე, მ. თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი. მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანაზღილი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017)

⁴ ნაჭყებია, თოდუა, 2016, გვ.625(აქუბარდია, ი. პროფ: 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული გურამ ნაჭყებია, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, თბილისი 2016)

განაჩენში უნდა ასახოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არსებული ინფრომაცია არასრულწლოვანი ბრალდებულის შესახებ.”

§ 5. შეჯამება

ამრიგად ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სამართლებრივ სივრცეში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მართებულად განსახორციელებლად და სასამართლო პრაქტიკაში სწორი მიმართულების ასარჩევად. ეს არის ერთი შანსის პროგრამა იმ ადამიანებისთვის, რომელთაც შეეშალათ და ამ შანსს იყენებენ. თუ დაარღვიე პირობები, შენს მიმართ სისხლისსამართლის დევნა დაიწყება, თუ არა და შეგიძლია ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაიწყო. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ისიც, რომ თავად დაზარალებულმა თქვას უარი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვისას პროკურორი ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს. პროკურორისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებით განისაზღვრება ის პირობები, რომლის შესრულებაც მოუწევს არასრულწლოვანს, დგება ხელშეკრულება და მას ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დაზარალებული. კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული განრიდების გამოყენების ერთიანი საპროცესო წესი მიუხედავად განრიდების სუბიექტის ასაკისა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით შესაძლებელია გამონაკლისი საერთო წესიდან და განრიდების გამოყენებისას არასრულწლოვანს შეიძლება უფრო მეტი შეღავათი დაუწესდეს, ვიდრე სრულწლოვანს, მაგრამ არა პირიქით. ამიტომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების გზით აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეწყდეს განრიდების საფუძველზე. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ემსახურება აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებს. აუცილებელია კანონი ითვალისწინებდეს ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას განრიდების პროცესში, ისე როგორც ეს ხდება საპროცესო

შეთანხმების გაფორმებისას. ასეთ შემთხვევაში ბრალდებული უკეთ შეძლებს სამართლებრივ საკითხებში გარკვევას და მის მიერ განრიდების მოთხოვნის შესრულების ან მასზე უარის თქმის შემთხვევაში საქმისწარმოების შესაძლო პერსპექტივის გაცნობიერებას. ამასთანავე, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს განრიდების გამოყენება შესაძლებელი გახდეს დაცვის მხარის ინიციატივითაც არა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის შემდეგ, როცა მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა საქმე დაუბრუნდეს პროკურორს განრიდების გამოსაყენებლად, არამედ გამოძიების ეტაპზეც. ამასთან საჭიროა სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა განრიდების პირობების გათანაბრება გარკვეული საგამონაკლისო დათქმით, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვით იქნება განპირობებული. ასევე ვფიქრობთ, რომ აუცილებელია განრიდების მარეგულირებელი საპროცესო ნორმების გადახედვა, შევსება, დახვეწა, განრიდების გამოყენების დადგენილი სტანდარტის დაზუსტება, რაც ხელს შეუწყობს განრიდების ინსტიტუტის სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფას. გარდა აღნიშნულისა, არსებითი ყურადღება უნდა გამახვილდეს ქართულ სამართლებრივ სივრცეში განრიდების და მედიაციის პროგრამის მართებულად განხორციელებისათვის აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს თითოეული პრინციპის ქმედითი ხასიათი, ვინაიდან ეს უკანასკნელი პაქტიკაში არსებული ხარვეზების პირდაპირ-პროპორციულია. კანონმდებლობაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპის დამკვიდრებაზე, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას სამართალდამცავ ორგანოსთან არასრულწლოვნის პირველი კონტაქტიდან სასჯელის მისჯისა და სასჯელის შემდგომი მომსახურების, განსაკუთრებით კი თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებზე შემდგომი ზრუნვის ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავად გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლიც ადგენს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიმართ ნებისმიერ მოქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი სუბიექტი, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო

ორგანო უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებით ბარათშივე აღნიშნული იყო, რომ კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციარეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადანყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

*თავი 4. ქართული და საერთაშორისო სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების
პრაქტიკის ანალიზი*

§ 1. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკული ანალიზის მნიშვნელობა

დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სასამართლოების გადანწყვეტილებების ანალიზს. ეროვნული სასამართლოების გადანწყვეტილებებში გახშირდა საერთაშორისო პრეცედენტების გამოყენების პრაქტიკა. „ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციის დებულებებს განსხვავებულად განმარტავენ ეროვნული სასამართლოები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან შეიძლება უფრო ვიწროდ განმარტოს ის უფლება, რომელიც ენიჭება პირს. ამის შედეგად პირი არ იქნება უზრუნველყოფილი იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპის კონვენციით. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი მიმართავს ევროპულ სასამართლოს იმის მტკიცებით, რომ ეროვნულმა სასამართლომ იგი არ უზრუნველყო იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპის კონვენციით, ევროპული სასამართლო მის სასარგებლოდ გადანწყვეტს დავას და დაადგენს, რომ სახელმწიფომ, რომლის სასამართლომაც კონვენციით გათვალისწინებული დებულება უფრო ვიწროდ განმარტა, ვიდრე ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, არ შეასრულა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებანი.¹ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განპირობებულია ასევე იმით, რომ იგი აძლევს ეროვნულ სასამართლოებს იმ გადანწყვეტილების განჭვრეტის შესაძლებლობას, რომელსაც სავარაუდოდ მიიღებს ევროპული სასამართლო ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში განაცხადის შეტანის შემთხვევაში. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადანწყვეტილებები ანალოგიურ

¹ კორკელია, 2002, გვ. 43 (კორკელია, კ ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი 2002)

საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის შემთხვევაში ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს. „ეროვნულ სასამართლოებს ენიჭებათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.¹ ევროპული სახელმწიფოების სასამართლოების აბსოლუტური უმრავლესობა, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად, რეგულარულად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ევროპული სასამართლოს იმ გადანწყვეტილებათა გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, რომლებიც ეხებიან კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, გამომდინარეობს არა კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულებიდან, არამედ განპირობებულია პრაგმატული მოსაზრებით. ძირითადი მოტივი, რომელიც განაპირობებს ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილებათა გამოყენებას ეროვნული სასამართლოების მიერ არის ის, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას (ინტერპრეტაციას) როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია მიღებულია 1950 წელს. იგი პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელმაც საერთაშორისო დონეზე განამტკიცა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.² ამ პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვნად განვითარდა, განმტკიცდა ადამიანთა უფლებრივი გარანტიები, გაფართოვდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსი და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია გამონაკლისი არ არის. მისი მიღებიდან გასული ხუთი ათწლეულის განმავლობაში ევროპის კონვენციის მონაწილე

¹ www.juvenilejusticepanel.org/resour გამოხმობილია 4.02.2017

² (<http://www.nplg.gov.ge>) გამოხმობილია 15.09. 2016

სახელმწიფოებშიც იცვლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერება, მიდგომა ამა თუ იმ ზნეობრივი თვსეულობებისადმი. მათთან ერთად შეიცვალა ადამიანის უფლებათა შინაარსი, გაფართოვდა ის გარანტიები, რომლებიც პირს ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით.¹

§ 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილებათა ანალიზი

დღევანდელი გადასახედიდან, გამომდინარე, მაშინ, როცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას არსებითი ყურადღება ექცევა იმატა ასევე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეთა განხილვის რიცხვმა. ვფიქრობთ საინტერესო იქნება აღნიშნული სასამართლოს რამდენიმე გადანწყვეტილების განხილვა და შესაბამისი ანალიზის გაკეთება. მაგ: ერთ-ერთ გადანწყვეტილებაში სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, სანამ რომელიმე არასრულწლოვან განსასჯელს საზოგადოებაში დაბრუნების უფლებას მივცემთ. მანამდე აუცილებელი იქნება ვრცელი ფსიქოთერაპევტული, ფსიქოლოგიური და შემეცნებითი გამოკვლევა და დახმარება. გარდა იმისა, რომ ისინი სრულად უნდა იქნენ რეაბილიტირებულნი და აღარ უნდა წარმოადგენდნენ საფრთხეს სხვებისათვის, არსებობს სერიოზული რისკი სხვების მხრიდან მათზე შურისძიებისა. განსასჯელები ზრდასრულები რომ ყოფილიყვნენ დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებელ პატიმრობის აუცილებელ ვადად თვრამეტ წელს განუუსაზღვრავდი. თუმცა, ეს ბიჭები დიდი სოციალურ და ემოციური სირთულეების მქონე ოჯახებიდან არიან. ისინი გაიზარდნენ წარუმატებელი ქორწინების ატმოსფეროში, რომელშიც ხშირად აწყდებოდნენ, ხედავდნენ ან განიცდიდნენ ჩაგვრას, ალკოჰოლიზმსა თუ ძალადობას. ეჭვი არ მეპარება, რომ ორივე მათგანი ხშირად უყურებდა სხვადასხვა სახის გადახრებისა თუ ძალადობის სცენების

¹ Meier, 2001, გვ. 12 (Meier, B.-D., Strafrechtliche Sanktionen, 2001)

შემცველ ვიდეოფილმებს. ჩვენი აზრით, დამსახურებული სასჯელისა და შემდგომი მკვლევლობის პრევენციის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დანაშაულის საზარელი გარემოებებისა და დანაშაულის ჩადენის მომენტში განსასჯელთა ასაკის გათვალისწინებით, თავისუფლების აღკვეთის სათანადო ვადაა რვა წელი... რვა წელი ძალიან ბევრია ათი, ან თერთმეტი წლის ბავშვისათვის. ახლა ისინი ბავშვები არიან, რვა წლის შემდეგ კი ახალგაზრდა მამაკაცები¹ აღნიშნულიდან გამომდინარე აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპულა სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: „კომისიამ გამოხატა თვალსაზრისი, რომ როდესაც ბავშვს სისხლის სამართლებრივ ბრალს წაუყენებენ და როცა ეროვნული სასამართლო სისტემა ბრალის დადგენის მიზნით ახორციელებს ფაქტების გარკვევის პროცედურებს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ასაკი, სიმწიფის ხარისხი და ინტელექტუალური თუ ემოციური შესაძლებლობები. კომისიამ მიიჩნია, რომ თერთმეტი წლის ბავშვის შემთხვევაში პროცესის ზრდასრულთა სასამართლოში საჯაროდ ჩატარება უნდა იქნეს განხილული, როგორც დასაშინებელი პროცედურა და დაასკვნა, რომ განმცხადებლის ასაკის გათვალისწინებით, საქმის ზრდასრულთა სასამართლო სისტემაში საჯაროდ განხილვა ართმევს არასრულწლოვან განსასჯელს პროცესში ეფექტურად მონაწილეობის შესაძლებლობას, რაც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.² ამავე დროს „დანაშაულის ჩამდენი ბავშვები ნებისმიერი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის პრობლემას წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი სრულწლოვნებზე უფრო მოუმწიფებლები არიან. ის ბავშვებიც კი რომლებიც, ერთი შეხედვით, არც უმანკოებით და არც დაუცველობით არ გამოირჩევიან, კვლავაც ვითარდებიან როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად, სანამ ზრდასრულ სიმწიფეს მიაღწევენ. მთავარ სირთულეს წარმოადგენს იმის გადარწმუნება, არის თუ არა ბავშვი საკმარისად მომწიფებული იმისათვის, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად აგოს პასუხი საკუთარ ქმედებებზე. თუკი ბავშვს სისხლის სამართლის

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები 2008 წ. ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები 2013წ. ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

პასუხისმგებლობა დაეკისრა, ის უნდა გასამართლდეს; მაგრამ ჩვეულებრივი სასამართლო პროცედურები მისაღები არაა, როდესაც ბავშვი ძალიან პატარაა იმისათვის რომ ამ პროცედურებმა სათანადოდ უზრუნველყოს მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება. თუკი ბავშვი გასამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი, მას სასჯელი უნდა შეეფარდოს; მაგრამ სასჯელის განსაზღვრა იმავე ფორმით, როგორც ეს ხდება ზრდასრულთა შემთხვევაში, მიუღებელია, თუკი ბავშვი თავისი ასაკიდან გამომდინარე ნაკლებად დამნაშავეა, ან თუკი უფრო ეფექტური იქნება გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელება. მოცემულ საქმეში წამოიჭრა ყველა ის პრობლემური საკითხი (როგორებიცაა - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, სასამართლო პროცედურები და სასჯელის შეფარდება), რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების მიმართ მოპყრობას ეხება.”¹ საინტერესო დასაბუთებას ვკითხულობთ საქმეზე გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ „განმცხადებელი მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო, როდესაც იგი ხუთი წლის ვადით განათავსეს სხვა სრულწლოვან პატიმრებთან ერთად. პირველი ექვს-ნახევარი თვის განმავლობაში მისთვის ხელმიუწვდომელი იყო სამართლებრივი დახმარების მიღება; არც ადეკვატური სამართლებრივი წარმომადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა მოხდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნულმა გარემოებებმა, შეჯერებულმა იმ ფაქტით, რომ 18 თვის განმავლობაში მას ადანაშაულებდნენ ქმედებაში, რომელიც სიკვდილით ისჯებოდა, მისთვის სრულიად გაურკვეველი სიტუაცია შექმნა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა აშკარად შეუწყო ხელი განმცხადებლის ფსიქოლოგიური პრობლემების წარმოშობას, რამაც, თავის მხრივ, რამდენჯერმე თვითმკვლელობის მცდელობისკენ უბიძგა მას. რაც მთავარია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც პირდაპირ პასუხისმგებელი იყვნენ განმცხადებლის პრობლემებზე, აშკარად ვერ უზრუნველყვეს მისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების ორგანიზება. შესაბამისად, გაითვალისწინა

¹ <http://unicef.ge/> გამოხმობილია 15.09. 2016

რა განმცხადებლის ასაკი, სრულწლოვნებთან ერთად მისი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სათანადო სამედიცინო მომსახურების ორგანიზების უზრუნველყოფა მის ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით, დაბოლოს, შესაბამისი ზომების განუხორციელებლობა თვითმკვლელობის განმეორებითი მცდელობების აღსაკვეთად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეჭვგარეშე დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, სადაც სასამართლომ კატეგორიულად აღნიშნა, რომ 15 წლის არასრულწლოვნისთვის 7 წლითა და 6 თვის ვადით სასჯელის დანიშვნა სასჯელის განსაკუთრებული სიმკაცრეა. ასევე განმარტა, რომ აპლიკანტის მცირე ასაკის გამო, დაკისრებული სასჯელის სიმკაცრე არასპროპორციული იყო წესრიგის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.² აღნიშნულიდან გამომდინარე დავამატებთ, რომ „კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს განაგრძონ კანონებისა და პრაქტიკის გადახედვა არასრულწლოვანთა პასუხისმგებლის სისტემის სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად კონვენციასთან, კერძოდ კი 37-ე, მე-40 და 39-ე მუხლებთან, ისევე როგორც მოცემულ სფეროში მოქმედ სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან. „არასრულწლოვან დამნაშავეთა საკითხები უნდა გადაწყდეს გაჭიანურების გარეშე, რათა თავიდან იქნას აცილებული დაკავება და რომ წინასწარი პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნას როგორც უკანასკნელი ზომა, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება მცირეხნიანი და რომელიც არ უნდა აჭარბებდეს კანონით დადგენილ ვადებს. მაქსიმალურად უნდა მოხდეს წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენება.“³

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები 2011

² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.01.2016 წლის N17526/10 გადაწყვეტილება

³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები 2013 წ. სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ

ქართველმა კანონმდებელმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისი მოთხოვნებით, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების დასაბუთებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ვინაიდან სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. საინტერესოა აღნიშნული კუთხით სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინებაში აღნიშნულია: რომ „საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის ან არასაკმაო ინტელექტუალური მომზადების ან გამოუცდლობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების აღზრდისათვის ხელის შეწყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება (რომელიც მართალია არის სავსებით კანონიერი ქმედება იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩაიდინა დანაშაული) და აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე კონკრეტული ფორმის შერჩევა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და გამოყენებული, ნებისმიერი ღონისძიება ყველა შემთხვევაში იყოს მისი

პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი (პროპორციული), ხოლო უპირატესობა ყოველთვის მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, რათა უპირველესად გათვალისწინებული იქნას არასრულწლოვნის მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.”¹ გარდა ამისა ასევე საინტერესოა პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოთა მიდგომა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის დაყენებისას. მაგ: „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 14 მარტის განაჩენში , არასრულწლოვნის მიმართ რომელსაც ჰქონდა სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი (თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რაც ამკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 4 წელი და 6 თვემდე და საბოლოოდ იგი ჩეთვალა იმავე ვადით პირობითად და აღნიშნული განესაზღვრა გამოსაცდელ ვადად) და ახსენა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის უფლებათა კონვენცია და ამკ-ის შესაბამისი მუხლები, აღნიშნულის საფუძველზე პირველი ინსტანციის განაჩენი დატოვა უცვლელი.” ამასთანავე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს №1გ/178-15 განჩინებაში, „მოსამართლე მოუწოდებს სახელმწიფო მართლმსაჯულების ორგანოებს (სასამართლოს და პროკურატურას) პოზიტიური როლი ითამაშონ არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდის და მათი რესოციალიზაციის საკითხში. შესაბამისად, მოსამართლე მნიშვნელოვანად მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და მისი კონკრეტული ფორმის შერჩევა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით. გამოყენებული იყოს არასრულწლოვნის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი (პროპორციული) აღკვეთის ის ღონისძიება, რომელიც მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი (არასრულწლოვნის) საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.” საინტერესოა ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, რომლითაც არასრულწლოვანს სასჯელის სახედ განესაზღვრა შინაპატიმრობა 6

¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება. <http://www.library.court.ge/>

თვის ვადით. სასამართლომ განაჩენში დიდი ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მნიშვნელობაზე, რაც დაასაბუთა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ამასთან მოსამართლემ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიუთითა სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში იღებს არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის, განათლების, განვითარების ინტერესს და მიაჩნია, რომ სასჯელის მიზნების მიღწევა შესაძლებელია კონკრეტული არასრულწლოვნის მიმართ შინაპატიმრობის შეფარდებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ამ შემთხვევაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებების ანალიზი არასრულწლოვანთა საქმეებზე ცხადყოფს, რომ სასამართლოები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორცაა ყაჩაღობა და ძარცვა, ასევე სხვა სახის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე განაჩენებში სასჯელის დანიშვნისას მოიხსენიებენ და იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამის მუხლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ არასრულწლოვანთა განაჩენები, ისევე როგორც სხვადასხვა ეტაპის განჩინებები არის ძალიან მშრალი და ზედაპირული, ვინაიდან მოკლებულნი არიან ეროვნულ ნომრატულ მასალაში მოცემული ჩარჩოების გარეთ არსებულ განმარტებებს. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს პროფ: მაია ივანიძე „არასრულწლოვანთა სასამართლო პრაქტიკის ანაზილი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოსამართლემ თითოეული არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას მხედველობაში უნდა მიიღოს მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ჯეროვნად უნდა შეისწავლოს არასრულწლოვნის პიროვნება და მისი ფსიქოემოციური ფაქტორები.“¹

მუშაობასთან დაკავშირებით სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მწირი გამოცდილება გააჩნია. თუმცა ცალსახად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა და

¹ ივანიძე, 2016, გვ.135

დაიხვეწა კანონთა კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის უფლებრივი მდგომარეობა ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა თუ სხვა საპროცესო მოქმედებათა ჩატარებასთან მიმართებით. აგრეთვე უნდა აღინიშნოს სოციალური სამსახურის ჩართულობა და აქტიურობა საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებათა ჩატარებისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის თუ მოწმის მიმართ. გასათვალისწინებელია, რომ რაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, პარლამენტმა 2017 წლის 4 მაისს კონვენციის თანმდევი სარატიფიკაციო ცვლილებათა პაკეტი მიიღო, რომელმაც საკანონმდებლო პაკეტში

3.1. ქართული საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკის ანალიზი

ქართული საგამოძიებო ორგანოების პრაქტის ანალიზისას გასათვალისწინებელი გახლავთ ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიღებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს. შესაბამისად საგამოძიებო ორგანოების მუშაობის თვალსაზრისით, ქართულ სამართალწარმოებას საგამოძიებო ორგანოების მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. სწორედ ამიტომ საგამოძიებო ორგანოებმა გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით უზრუნველყვეს ოჯახში ძალადობის გამოძიება და არასრულწლოვანი დაზარალებულის ბრალდებულისა თუ მოწმის უფლებრივი მდგომარეობის დაცვა. ხშირ შემთხვაში სწორედ არასრულწლოვან მოწმეებსა თუ დაზარალებულებს ვხდებით ოჯახში ძალადობის შედეგად, რის გამოც წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი და აუცილებელი ხდება ზემოთხსენებული სოციალური მუშაკისა და ადვოკატის ჩართულობა. კონკრეტულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 45-ე მუხლის შესაბამისად დადგენილია რომ არასრულწლოვან დაზარალებულსა თუ ბრალდებულს სავალდებულო წესით უნდა ჰყავდეს ადვოკატი. აგრეთვე არასრულწლოვანი მოწმის შემთხვევაში ცალსახად განიმიჯნა გარემოება, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში მასთან საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები ჩატარდეს საპროცესო წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელმაც

აგრეთვე ისევე უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანის უფლებების დაცვა, როგორც მშობელმა და კანონიერმა წარმომადგენელმა.

დასკვნა

ჩვენ მიერ მოხდა სამეცნიერო ლიტერატურული მასალის მოძიება და განხილვა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სამაგისტრო ნაშრომის მიზნებთან. განხილული იქნა აკადემიური წყაროებისა და თანამედროვე ალტერნატიული წყაროებიდან მოპოვებული მასალები. ლიტერატურის განხილვამ მოგვცა საშუალება, რომ შეგვექმნა ზოგადი მეცნიერული ჩარჩო და წარმოგვეჩინა არსებული თეორიული ცოდნა. ლიტერატურის გაცნობით ჩვენ მეტად ღირებული ინფორმაცია მივიღეთ, რაც დაგვეხმარა ჰიპოთეზის სწორად ჩამოყალიბებაში. ასევე შევექმენით პლატფორმა თეორიული ცოდნის მხარდაჭერისთვის, განზოგადებისა და შემონახვისათვის.

წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან. ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობა ზოგადად დანაშაულობის შემადგენელი ნაწილია, თუმცა მას აქვს ისეთი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები რაც საშუალებას იძლევა, რომ მასზე მსჯელობა წარიმართოს დამოუკიდებლად. სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენცია და ამ ღონისძიებებში განეული ხარჯები რენტაბელურია. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვაა. აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეფექტური პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ეს ერთის მხრივ ემსახურება თავად არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს, ამასთანავე ახორციელებს

სახელმწიფოში ზოგადად დანაშაულობის დონის მნიშვნელოვან შემცირებას, როგორც მოკლე ისე გრძელვადიან პერსპექტივებში. ასევე განხილულ იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცნება. აღნიშნული ცნება ნოვაციას კანონში და განმარტებულია ნორმატიულად. დასახელებულია კონკრეტული გარემოებები, რომლის რეალობაში დადგომის შემთხვევაში ბავშვს ენიჭება აღნიშნული სტატუსი. სწორედ ამ სტატუსით მოიხსენიება სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში ბავშვი. ნაშრომში დეტალურად იქნა განხილული არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავისებურებები. შევეცადეთ, რომ მკითხველისთვის ნათელი გამხდარიყო ის ნიუანსები რითიც არასრულწლოვანთა დანაშაულობა განსხვავებულია ზოგადად დანაშაულობისგან, თუ აღნიშნული ნიუანსების აღქმადობა ამაღლდება, ბუნებრივია რომ უფრო ეფექტური იქნება ამ ნეგატიურ ფენომენთან ბრძოლა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასრულწლოვანის განვითარება და არასრულწლოვანთა დანაშაულობის რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია სახელმწიფოს სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ჩვენ მიერ გამოყენებულმა კვლევის მეთოდებმა მოგვცა საშუალება, რომ ნაშრომში დასმულ ჰიპოთეზებზე გამოგვეტანა დასკვნები. ნაშრომში გამოყენებულია სტატისტიკური, შედარებითი კვლევისა და გამოკითხვის მეთოდები. სტატისტიკური მეთოდის გამოყენების პროცესში დამუშავებული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი და საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია. შეგვექმნა წარმოდგენა არასრულწლოვანთა დანაშაულობის დინამიკაზე და მის ხვედრით წილზე. შედარებითი მეთოდის გამოყენების პროცესში მოხდა სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა. კვლევის დროს მოხდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე სხვადასხვა რეგიონალურ სექტორში არსებული ქვეყნების სამართლებრივი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს კანონმდებლობასთან. იდენტიფიცირებული იქნა საუკეთესო პრაქტიკის ცალკეული შემთხვევები რომლის იმპლემენტაცია საქართველოს სამართლის სისტემაში მარტივი იქნება, პრინციპულ დონეზე შესაბამისობის გამო. გამოკითხვის დროს კვლევის პროცესში ანონიმურად და კონფიდენციალურად გამოკითხულ იქნენ გამომძიებლები და

პროკურორები, მოხდა მათ მიერ მონოდეული პასუხებისა და მოსაზრებების ანალიზი. ასევე წარმოდგენილი იქნა საქართველოში 14 წელს მიუღწეველი პირების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების ამსახველი სტატისტიკა, რაც უკანასკნელ წლებში საგანგაშო ტენდენციით გამოირჩევა.

ნაშრომში დასმული ჰიპოთეზის თანახმად მიზანშეწონილია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განხორციელდეს ცვლილებები, რათა კოდექსმა შეძლოს თანამედროვე გამოწვევების დაძლევა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის შემცირება. ასევე თუ 14 წელს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სახელმწიფო შეცვლის დამოკიდებულებას არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწვეის გზით, არამედ ამ მოვლენის მიმართ ახლებური მიდგომის ჩამოყალიბებით, მაშინ ამ ნეგატიური მოვლენის მასშტაბები შემცირდება. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 14 წელს მიუღწეველი პირების მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე სახელმწიფოს რეაგირება და პოლიტიკა არის არაეფექტური, ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ ბოლო სამ წელიწადში 14 წლამდე ასაკის პირთა დანაშაულობის ხვედრითი წილი ზოგადად არასრულწლოვანთა დანაშაულობაში წლიდან-წლამდე 4-5%-ით იზრდება, ამასთანავე გამოკითხულ რესპოდენტთა 75%-მა განმარტა, რომ არსებული პოლიტიკა საჭიროებს რევიზიას და ჩამოსაყალიბებელია ახლებური მიდგომა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა. არასრულწლოვანთა წელს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკა შესაცვლელია ახლებური მიდგომის ჩამოყალიბებით. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს 14 წელს მიუღწეველ დანაშაულის ჩამდენი პირების გადამისამართება სხვადასხვა სოციალურ ცენტრებში, თუნდაც დანაშაულის პრევენციის ცენტრში. თუ არსებული პოლიტიკა გაგრძელდა ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული მოვლენის მასშტაბები გაიზრდება. უმჯობესია თუ ამ საკითხს პრინციპის დონეზე თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დაარეგულირებს. კვლევის პროცესში ასევე დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა იმ საკითხთან მიმართებით, რომ საჭიროა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანა. საკანონმდებლო აქტების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითადი რეგულაცია შესაბამისობაშია ბავშვის უფლებების კონვენციასთან, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ცვლილებების საჭიროება. შედარებითი კვლევის მეთოდმა გვაჩვენა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობაში გარკვეული ტიპის დანაშაულებზე პოლიციელთათვის განრიდების უფლებამოსილების მინიჭება გამართლებულია. აღნიშნულ საკითხისადმი გამოკითხულ რესპოდენტთა 57.5%-მა დადებითი პასუხი გასცა და განმარტა, რომ პოლიციელთათვის განრიდების უფლებამოსილების მინიჭება რაციონალურია. ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, უმჯობესია თუ სახელმწიფოში შეიქმნება უწყებები რომლებიც დაკავებულები იქნებიან უშუალოდ და მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით. ასეთ შემთხვევაში მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებათა რეზულტატი გაცილებით მაღალი და ეფექტური იქნება. აღნიშნულ საკითხისადმი დადებითი პასუხი რესპოდენტთა 87.5%-მა განაცხადა. პენიტენციურ სისტემაში ეს პრინციპი ხელშეუხებელია და კანონით არის გარანტირებული. დაუშვებელია, რომ სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებულები ერთ საკანში იქნეს მოთავსებული. ბუნებრივია პენიტენციურ სისტემაში მონწყვლადობის ხარისხი მაღალია. თუმცა არანაკლები ადგილი უკავია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გამოძიების ეტაპს. შესაბამისად ჩვენთვის გაუგებარია თუ რა მიზნით ითქვა უარი ამ პრინციპის გამოყენებაზე. საკითხი შესაძლოა დაკავშირებულია ფინანსურ პრობლემებთან, თუმცა ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის მიზნით განეული ხარჯები რენტაბელურია. უმჯობესია თუ ამ საკითხს ასევე პრინციპის დონეზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დაარეგულირებს

გამოყენებული ლიტერატურა

- აქუბარდია, ი. პროფ: 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული გურამ ნაჭყებიას, განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, თბილისი 2016,
- არსოშვილი, გ; მიქანაძე, გ; შალიკაშვილი, მ; პრობაციის სამართალი თბილისი 2015
- გვენეტაძე, ნ; კვაჭაძე,მ; წიკლაური-ლამიხი, ე; გაბუნია, მ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია თბილისი 2012,
- გამყრელიძე, ო.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება.ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი 2008.
- დემეტრაშვილი, ა. კობახიძე, ი. კონსტიტუციური სამართალი, 2011,
- ერემაძე, ე. ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში თბილისი, 2013,
- კავთუაშვილი, ე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, დასჯის თუ აღზრდის სამართალი, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო N4, თბილისი, 2016.
- კორკელია, კ ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი 2002,
- კუბლაშვილი, ვ. ძირითადი უფლებები. თბილისი 2014.
- კოდუა, ე. სოციოლოგია თბილისი, 2004.
- ნაჭყებია, გ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2007.
- ლლონტი, გ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი 2008.
- შალიკაშვილი, მ; არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები თბილისი 2013)
- ივანიძე, მ.თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი.მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანაზღილი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017

- შალიკაშვილი, მ; მიქანაძე, გ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სახელმძღვანელო თბილისი 2016.
- შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. ხასია, მ. საჯელაღსრულებითი სამართალი თბილისი 2014.
- შალიკაშვილი, მ. ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში. მ. ლეკვეიშვილი 85 წლის საიუბილეო სტატიათა კრებული თბილისი 2014.
- შალიკაშვილი, მ. ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი 2012.
- შვაბრე, ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები თბილისი 2011.
- ტრექსელი, მ. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009.
- ბოხაშვილი, ი. ბენიძე, მ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, „სამართლის ჟურნალი“ თსუ N2, თბილისი 2009.
- თუმანიშვილი, გ. სისხლის სამართლის პროცესი თბილისი 2014.
- თუმანიშვილი, გ. დაზარალებული თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში „სამართლის ჟურნალი“ (თსუ) N2 თბილისი 2009.
- თუმანიშვილი, გ. აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში. სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში. სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, ტურავა მ. (რედ) სტატიათა კრებული თბილისი 2013.
- დვალიძე, ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები, თბილისი 2013
- ჰამილტონი, ე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011
- ჰამილტონი, ე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში. თბილისი 2007
- ზეჰრი, ჰ; აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი საინფორმაციო ბროშურა (2013)

- შაპოვიჩი, ნ. დოკვი, ი. ცერმატენი, უ; ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში 2012
- ტურავა, მ. სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილის, თბილისი 2014,
- მაკბრაიდი, ჯ. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თბილისი 2013.
- მჭედლიშვილი-ჰედრისი, ე. სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. (რედ) შალიკაშვილი, მ. არასრულწლოვანთა საჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები. სტატიათა კრებული თბილისი 2011.
- მეფარიშვილი, გ. ჩხეიძე, ი. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2011.
- ნოზაძე, ლ. იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2017.
- ოსტერმილერი, ს. სვენსონი, დ. დავის გადანაცვების ალტერნატიული საშუალებები საქართველოში. თბილისი 2014.
- ფაფიაშვილი, ლ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1. თბილისი 2008.
- ხერხეულიძე, ი. პრობაციის ინსტიტუტი არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, მ. ლეკვეიშვილი - 85. საიუბილეო სტატიათა კრებული თბილისი 2014.
- ხუბუა, გ. სამართლის თეორია, თბილისი 2004.
- ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარები 2007
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Breidenbach, S., *Mediation – Struktur, Chancen und Risiken von Vermittlung im Konflikt*, 1995
2. Eidenmüller, H., *Verhandlungsmangement durch Mediation, Mediation in der Anwaltspraxis*, 2004
Haft, F., *Verhandlung und Mediation*, 2000
3. Arnaud, A.-J., *Dictionnaire encyclopédique de théorie et de sociologie du droit*, 1993
4. Faget, J., *La mediation. Essai de politique pénale*. Ramonville Saint-Agne, 1997
5. Jung, H., *Mediation: Paradigmawechsel in der Konfliktregelung? Festschrift für Hans Joachim Schneider zum 70. Geburtstag am 14. November 1998. Kriminologie an der Schwelle zum 21. Jahrhundert*, 1998,
6. Weitekamp, E. G. M., *Mediation in Europe: Paradoxes and Promises. Restorative Justice For Juveniles: Conferencing, Mediation, and Circles*, 2001
7. Tränkle, S., *Im Schatten des Strafrechts. Eine Untersuchung der Mediation in Strafsachen am Beispiel des deutschen Täter-Opfer-Ausgleichs und der französischen médiation pénale auf der Grundlage von Interaktions- und Kontextanalysen*, 2007
8. Rössner, D., *Wiedergutmachung statt Übelvergeltten. Täter-Opfer-Ausgleich. Vom zwischenmenschlichen Weg zur Wiederherstellung des Rechtsfriedens*, 1989
9. Kaspar, J., *Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Rechtliche Grundlagen und Ergebnisse eines Modellprojekts zur anwaltlichen Schlichtung*, 2004
10. Zirn, V., *Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren*, 2007
11. Meier, B.-D., *Strafrechtliche Sanktionen*, 2001
12. Huchel, U., *Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren. Handbuch Mediation*, Haft, F./Gräfin von Schlieffen K. (Hrsg.), 2002

- 13.Schmidt-Hieber, W., Verständigung im Strafverfahren – Möglichkeiten und Grenzen für die Beteiligten in den Verfahrensabschnitten, 1986
- 14.Schüler-Springorum, H., Die Resozialisierung des normalen erwachsenen Straftäters. Festschrift für Maihofer, 1988
- 15.Ostendorf, H., Wieviel Strafe braucht die Gesellschaft? 2000
- 16.Roxin, C., Wandlungen der Strafzwecklehre. Grundlagen staatlichen Strafens – Festschrift für Müller-Dietz, 2001
- 17.Frehsee, D., Schadenswiedergutmachung als Instrument strafrechtlicher Sozialkontrolle, 1987
- 18.Mühlfeld, S., Mediation im Strafrecht - Unter besonderer Berücksichtigung von Gewalt in Schule und Strafvollzug, 2002
19. Dworkin, R. Bürgerrechte erst genommen, übersetzt von Ursula Wolf, 1984,f182)
20. Sobie M., The Juvenile Offender Act: Effectiveness and Impact on the New York Juvenile Justice System, 1981.
- 21.Clinard, M.B Sociology of Deviant Behavior,2014,13
22. Люблинский П. И., Суды для несовершеннолетних в Америке как воспитательные и социальные центры, Москва, 1911.

ინტერნეტ წყაროები

1.www.nplg.gov.ge/gsd1/cgi-bin/library

2.www.justice.gov.ge

3.rp.tsu.ge/index

4.<http://unicef.ge/>

5.<http://www.docfoc.com/>

